ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

# ლელო

№ 91
(11 445)

17 – 20 ნოემბერი, 2000 წ.

ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან



ჩილე – არგენტინა



იტალია – ინგლისი



ბოლივია – ურუგვაი

5

## მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები, ამხანაგური შეხვედრები

## გაგა ბოლქვაძე მსოფლიოში მეორეა პრესტიჟულ წონაში



გაგა ბოლქვაძე

ბუდაპეშტში გამართულ მსოფლიო პირველობაში იუნიორ მოკრივეთა შორის საქართველოდან საკუთარი ხარჯებით მონაწილეობდა 8 სპორტსმენი. მათგან ერთმა, ბათუმელმა გაგა ბოლქვაძემ სუპერმძიმე წონაში ფინალში გაალწია. აღსანიშნავია, რომ შარშან ეს ახალგაზრდა ხორვატიაში ევროპის მესამე პრიზიორი გახდა. ამჯერად მსოფლიო პირველობის ვერცხლის მედალი მოიპოვა, სადაც მსოფლიოს 10 ყველაზე ტიტულოვანი მოკრივე გამოდიოდა. წარმატების კარგი შანსი ჰქონდა ყველა ბათუმელ მერაბ სვანაძეს (67 კგ), მაგრამ კუბელთან შეხვედრაში, რომელსაც ჩვენი მოკრივე 4 რაუნდს 10:9 უგებდა, მსაჯმა ბოლო წამებზე გააფრთხილა და 10:11 წააგებინა. ასე დაიკარგა მედალი. მსაჯი კი არაობიექტურობისათვის საერთოდ მოხსნეს შეჯიბრებიდან.

10-17 დეკემბერს ბაქოში ტარდება სამოყვარულო კრივის მსოფლიო ასოციაციის მოქმედი პრეზიდენტის, პაკისტანელ პროფესორ ენვერ ჩაუდრის პრიზის გათამაშება ახალგაზრდებს შორის. ოფიციალურად ჩვენგან 6 სპორტსმენია დაშვებული. ესენი იგივე მოკრივეები არიან, რომლებმაც ბუდაპეშტში იასპარეზეს.

დავძენთ, რომ 1997 წელს სწორედ ბუდაპეშტში, მსოფლიო ჩემპიონატზე, ასევე სუპერმძიმე წონაში ჩემპიონის ტიტული მოიპოვა გიორგი კანდელაკმა.

### პრესკონფერენცია

## ქართული ჭადრაკი მაღალ დონეს ინარჩუნებს

მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადაზე სტამბოლში ჩვენი სპორტსმენების გამოსვლამ ერთხელ კიდევ დაადასტურა, რომ საქართველო რჩება ამ ბრძნული თამაშის მოწინავე ქვეყნად მთელ მსოფლიოში. სტამბოლის ოლიმპიადის პერიპეტიებს მიეძღვნა პრესკონფერენცია ჭადრაკის სასახლეში, რომელიც ჩვენი ქალთა და ვაჟთა გუნდების შინ დაბრუნებისთანავე გაიმართა. ჭადრაკის მოყვარულები ისედაც იყვნენ გათვითცნობიერებულები თუ რა ხდებოდა ოლიმპიადაზე, მაგრამ სულ სხვა იყო უშუალოდ მონაწილეთა შთაბეჭდილებებისა და შეფასებების მოსმენა.

ჩვენი ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტმა ნონა გაფრინდაშვილმა ღრმად გააანალიზა ოლიმპიადაზე ქართველი მოჭადრაკეების გამოსვლა. სპორტში ყველაფერი ხდება და სიტუაცია ისე განვითარდა, რომ ჩვენმა ქალებმა ვერ შეძლეს თავდაპირველი უპირატესობის შენარჩუნება. არ გაუმართლა მაია ჩიბურდანიძეს, რომელმაც ბრწყინვალე სტარტის შემდეგ უპირატესობა ვერ შეინარჩუნა. კარგად, დამაჯერებლად იასპარეზა ნინო ხურციძემ, რომელმაც მცირე ოქროს მედალი მოიპოვა მესამე დაფაზე – 11 პარტიიდან 7 მოგება და 4 ყაიმი – ბრწყინვალე შედეგია. ჩინელების წარმატება განაპირობა მათმა სტაბილურმა თამაშმა და ახალგაზრდულმა შემართებამ, ჩვენთან კი თაობათა ცვლის პროცესის ხანა დადგა.

იგივე ითქმის ვაჟთა ნაკრებზე, ამჯერად ვეტერანებითა და ახალგაზრდებით დაკომპლექტებულმა გუნდმა, შეხმატკბილებულად, შესანიშნავ შედეგს მიაღწია და საჭადრაკო ოლიმპიადის ისტორიაში პირველად მოიპოვა მეექვსე ადგილი.

ჩინელ ქალებს გადაეცათ ოლიმპიადის მთავარი ჯილდო – ნონა გაფრინდაშვილის პრიზი.

### დელიში მსოფლიო ჩემპიონატზე

ახლა ჩვენი მოჭადრაკეები ინდოეთში გაემგზავრებიან, სადაც მსოფლიო პირადი ჩემპიონატი ჩატარდება. ჩემპიონატი გაიმართება ნოკაუტ სისტემით – წაგებული ეთიშება ასპარეზობას. ცნობილია I ტურის კენჭისყრის შედეგები: იოსელიანი – გოლეთიანი, კახიანი – ჯავახიშვილი, მარიჩი (იუგოსლავია) – ტყეშელაშვილი, ხურცილავა – ჰანი (აშშ), არახამია – სარალე (აშშ), გურიელი – შეიერი (სამხ. აფრ), გაფრიხდაშვილი – ხურცილავა. მაია ჩიბურდანიძე შეჯიბრებაში II ტურიდან ჩაებმება.

ვაჟთა შორის საქართველოდან მხოლოდ ზურაბ აზმაიფარაშვილი იასპარეზებს.

### და კიდევ ნომერში იხილავთ:

- ჩემპიონთა ლიგის I ეტაპის სტატისტიკას;
- გაგახსენებთ ტაშკენტის 1964 წლის „ოქროს შემოდგომას“;
- გაეცნობით ქართული ფეხბურთის ახალ ამბებს...

## მშვიდობით, ქართულო სპორტო!

### ნიჩბები, ნიჩბები მოამზადეთ ქართული სპორტის მესაფლავეებო!

„ლელო“, ბოლო ხანებში, ბევრს წერდა საქართველოში სპორტის მოძულების ტენდენციებზე. როგორც ჩანს, ტენდენციები უკვე რეალობად იქცა. სახელმწიფომ საბოლოოდ გამოამჟღავნა, რომ ქართული სპორტი და ამ სფეროში შექმნილი პრობლემები, მისთვის ზედმეტი ტვირთია. ერთი ცნობილი გამოთქმის პერიფრაზი რომ მოვიშველიოთ: „აღარ იქნება ქართული სპორტი – აღარ იქნება პრობლემები“. აი, სადამდე მივედით!

ჩვენი გაზეთის მკითხველებმა და, საერთოდ, მთელმა საქართველომ უკვე იცის, რომ მომავალი წლის ბიუჯეტში ქართული სპორტისთვის გამოყოფილია მხოლოდ... 327 ათასი ლარი. რა არის ეს? რაც გნებავთ, ის თქვით, მაგრამ ამას ქართულ სპორტზე ზრუნვას ვერა და ვერ უწოდებ, ეს ხომ წარმოუდგენელი ცინიზმია. ჩათვალეთ, რომ კატასტროფა უკვე მოხდა. სპორტში ეროვნული ტრადიციები, სიამაყის ნაცვლად, ამიერიდან მოგონებებში გადავა და ისტორიის კუთვნილება გახდება. შთამომავლობას ეცოდინება, რომ ქართული სპორტის მესაფლავედ ახლანდელი პარლამენტი და ხელისუფლება იქცა.

არადა, სულ რამდენიმე დღის უკან რა რიხით და სიამაყით ვზეიმობდით სიდნეიში ჩვენი სპორტსმენების ბრწყინვალე წარმატებას. იგივე პარლამენტსა და ხელისუფლებაში წარმოთქმული შესაქები სიტყვები ფარისევლობა გამოდგა. სიდნეი უკანასკნელი ოლიმპიადა შეიძლება აღმოჩნდეს, სადაც თავი მოვაწონეთ მთელი მსოფლიოს სპორტულ სამყაროს. ისღა დარჩა ნიჩბები მოამზადოთ და საბოლოოდ დაასამაროთ ქართული სპორტი, ქართული გენის ეს ისტორიული ფენომენი. თუ ვინ არის მესაფლავე, ზემოთ უკვე ითქვა.

მშვიდობით, ქართული სპორტის დიდებავ!

## დღეს საჩხერეში...

**მშობლიური საჩხერე, დღეს, 17 ნოემბერს, საზეიმო შეხვედრას უწყობს ოლიმპიური თამაშების პრიზიორს გიორგი ასანიძეს. შეხვედრის ორგანიზატორია რაიონის გამგეობა და რაიონის სპორტკომიტეტი.**

## პაპი და მისი გუნდი ძმები არველაძეების მოლოდინშია

კახი კალაძე – 17 მლნ. $, შოთა არველაძე – 13 მლნ. $, არჩილ არველაძე – ? მლნ. $, გიორგი ნემსაძე – 5,2 მლნ. $, ზურაბ ხიზანიშვილი –? მლნ. $, ლევან სილაგაძე – ? მლნ. $.

ქართული ფეხბურთი მნიშვნელოვანი ამბების მოლოდინშია – ლიტვასთან და, განსაკუთრებით, იტალიასთან მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩების შემდეგ ქართველი მოთამაშეების ფასი საერთაშორისო სატრანსფერო ბაზარზე ერთი-ორად გაიზარდა. ჩვენს ფეხბურთელებს ყურადღება მიაქციეს რიგითმა კი არა, წამყვანმა, ევროპულმა კლუბებმა: „მილანმა“, „არსენალმა“, „გალათასარაიმ“, არც იტალიური „ნაპოლია“ ხელწამოსაკრავი გუნდი. მაშ, ვინ არიან ის ქართველი მოთამაშეები, რომლებიც უახლოეს ხანში კლუბებს გამოიცვლიან და რა სარგებელი ექნება აქედან ქართულ ფეხბურთს?

იხ. მე-4 გვ.

## პრიზად მანქანა... ვირი და ცხენი



25 ნოემბერს, თბილისის სპორტის სასახლეში

როგორც ცნობილია, ქართული ჭიდაობის ფედერაციის ბოლო ყრილობამ პრეზიდენტად აირჩია მსოფლიოში სწორუპოვარი ფალავანი და შესანიშნავი ქართველი ლევან თედიაშვილი, ვიცე-პრეზიდენტად ქართული ჭიდაობის ლეგენდა — სიმონ მაისურაძე.

მათმა გამოჩენამ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში კვლავ გამოაღვიძა ბევრგან „მიძინებული“ ქართული ჭიდაობა, კვლავ აჰმაურდა დოლი და ზურნა, ტარდება რაიონული თუ სასოფლო პირველობები, შეხვედრები სოფლებს შორის. შედეგმაც არ დააყოვნა. გამობრწყინდნენ შესანიშნავი ფალავნები, ქარელის რაიონში, მაგალითად, ამას წინათ საქვეყნოდ ცნობილი დურმიშხან ბერუაშვილის ბადიშმა პაპის, ბიძების და ბიძაშვილების დარად ჭიდაობის მოყვარულები გააოცა მძიმე წონის მოჭიდავეებთან შერკინებით, ამაზე იტყოდა ქართველი გლეხი, კვიცი ჯილაგზე ხტისო. მისასალმებელი და გასახარია მსგავსი ფაქტების სიმრავლე.

ქართული ჭიდაობის აღორძინების ტრიუმფი იქნება სულ მალე, 25 ნოემბერს, ფედერაციის გადაწყვეტილებით საქართველოს აბსოლუტური ფალავნობის ჩატარება თბილისის სპორტის სასახლეში. ლევან თედიაშვილის ინიციატივით შეჯიბრება არნახულ მასშტაბებს მიაღწევს, ფალავანთა ფალავნობას შეეცილებიან საქვეყნოდ ცნობილი მოჭიდავეები, რომელთა შორის გამარჯვებულნი სათანადოდ დაჯილდოვდებიან კიდეც. კერძოდ, აბსოლუტური ფალავნობისთვის გათვალისწინებულია მსუბუქი ავტომანქანა, მეორე ადგილისთვის საუცხოო, კეთილსინდისიერი, მშრომელი და კორუმპირებულ ადამიანებზე ბევრად მაღლა მდგომი ვირი, ხოლო მესამე ადგილისთვის, ასევე კეთილშობილი, წვივმაღალი, საუკეთესო ჯიშის ცხენი.

მიგვაჩნია, რომ აღნიშნული ღონისძიება დიდ ინტერესს გამოიწვევს ქართული სპორტის მოყვარულთა შორის და შეჯიბრებას მრავალი ათასი მაყურებელი დაესწრება. ბარაქალა ქართული ჭიდაობის მესვეურებს ლევან თედიაშვილის თამადობით.

რევაზ კრიჭინაშვილი, პროფესორი

ATHENS 2004
CANDIDATE CITY

# მომავალ ოლიმპიურ თამაშებამდე 3 წელიწადი და 9 თვე დარჩა

...სიდნეის ოლიმპიადამ დაადასტურა, რომ ამოუწურავია საქართველოს სპორტული პოტენციალი: ყოველ სოფელში და, რა თქმა უნდა, ქალაქში მოიძებნება ნამდვილად ჭეშმარიტი ტალანტი.

*ე. შევარდნაძე*

საქართველოს პრეზიდენტს
*ბატონ ედუარდ შევარდნაძეს*

## საქართველოს სპორტსმენთა და სპორტის მუშაკთა პროფესიული კავშირის III პლენუმის მიმართვა

ბატონო ედუარდ!
პლენუმი აღნიშნავს, რომ ქვეყანაში დატრიალებულმა მოვლენებმა გამოძახილი ჰპოვა ფიზიკური კულტურისა და სპორტის სფეროშიც, მთლიანად მოიშალა ტრადიციები.
სკოლებში და უმაღლეს სასწავლებლებში ნაკლებად ექცევა ყურადღება ფიზაღზრდის გაკვეთილებს, საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ბევრგან ეს საგანი აღარ ისწავლება. ეს მაშინ, როცა ქვეყანას ესაჭიროება ერის გაჯანსაღება და ქართულ არმიას ფიზიკურად ძლიერი ახალგაზრდებით შევსება. საგრძნობლად იკლო სპორტში მომეცადინეთა რაოდენობამ, შემცირდა შეჯიბრებათა რიცხვი. აღარ ტარდება წვევამდელთა რესპუბლიკური სპარტაკიადები, გაუქმებულია ფიზკულტურის მეთოდისტთა შტატები, დაუფინანსებლობის გამო კვლავ გრძელდება სასპორტო სკოლების შემცირება, აღარ იმართება რაიონული და საქალაქო პირველობები, რის გამოც ველარ ხერხდება ეროვნული ნაკრები გუნდების შევსება, არის საშიშროება, რომ 2004 წელს ოლიმპიურ თამაშებში ვეღარ ვიხილავთ ქართველ სპორტსმენებს.
შემაშფოთებელი მასშტაბები მიიღო ცნობილ სპორტსმენთა და მწვრთნელთა მიგრაციამ.
ხელმიშვებულია სპორტული ბაზების მოვლა-პატრონობისა და მათი სწორად გამოყენების საქმე. პრივატიზირებული სპორტული ბაზების დიდი ნაწილი გამოყენებულია არადანიშნულებისამებრ. მასობრივ-ფიზკულტურულ და გამაჯანსაღებელ და სპორტულ მუშაობაში დიდი წვლილი აქვს შეტანილი საქართველოს პროფკავშირებს. სამწუხაროდ, დღეისათვის მისი როლი იგნორირებულია.
საქართველოს სპორტის გადარჩენისათვის საჭიროა საერთო ძალისხმევა, როგორც სახელმწიფოებრივი, ისე საზოგადოებრივი.
**მოგმართავთ:**
1. მიღებულ იქნეს ზომები ზემოაღნიშნულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად, ყველა სახელმწიფო, საზოგადოებრივმა და არასახელმწიფო ორგანიზაციათა ხელმძღვანელებმა განიხილონ და გაატარონ საჭირო ღონისძიებები მასობრივ-გამაჯანსაღებელი და სპორტული მუშაობის აღდგენისა და შემდგომი განვითარებისათვის.
2. დაისვას საკითხი საქართველოს განათლების მინისტრის წინაშე: – მიიღოს გადამჭრელი ზომები, რათა საშუალო სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს სპორტულ-გამაჯანსაღებელ მუშაობას. სპორტული დარბაზები მაქსიმალურად იქნეს გამოყენებული ახალგაზრდობის ფიზიკურად აღზრდისათვის;
– შესწავლილ იქნეს საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში ფიზიკური აღზრდის საათების შემცირების მიზეზები.
3. დაისვას საკითხი ფინანსთა მინისტრის წინაშე:
– გამოყოფილ იქნეს თანხები ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლების დასაფინანსებლად.
4. ეთხოვოს თბილისის მერიას, საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულებს და ქალაქების მერებს:
– სათანადო კონტროლი დააწესონ სპორტული ობიექტების შენარჩუნებისა და დანიშნულებისამებრ გამოყენებაზე.

# ამაგდარი მწვრთნელის ტურნირი



ჩვენი ჩოგბურთის სამყარო ღირსეულ პატივს მიაგებს ღვაწლმოსილი ადამიანების ხსოვნას და ეს ტრადიციად იქცა. ასე გადადის თაობათა მეხსიერებაში იმ ადამიანების ამაგი, რომლებმაც მთელი თავისი ცხოვრება მიუძღვნეს ჩოგბურთს და დიდი წვლილი შეიტანეს მის წინსვლა-განვითარებაში.

„დინამოს" კორტებმა ამჯერად საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის ვანო ელერდაშვილის სახელობის ტურნირს უმასპინძლა, რომელშიაც 70-მდე მოზარდი ჩოგბურთელი მონაწილეობდა ძირითადად თბილისიდან. გაგაცნობთ გამარჯვებულებს და პრიზიორებს.

***1992-1993 წლებში დაბადებულნი. გოგონები:*** 1. მ. პეტრიაშვილი, 2. დ. დავითაია, 3. თ. ტატიშვილი; ***ბიჭები:*** 1. შ. პაიჭაძე (რუსთავი), 2. ნ. ბასილაშვილი, 3. ა. მაჭავარიანი. ***1990-91 წლებში დაბადებულნი: გოგონები:*** 1. ე. გორგაძე, 2. თ. საბანაძე, 3. თ. ქორქოლიანი, ***ბიჭები:*** 1. ს. თოფურიძე, 2. გ. გიორგაძე, 3. ს. სხირტლაძე. ***1988-89 წლებში დაბადებულნი. გოგონები:*** 1. მ. შაფაქიძე, 2. ნ. კალმახელიძე, 3. ნ. ზაალიშვილი; ***ბიჭები:*** 1. ა. ირემაშვილი, 2. ზ. ტარუაშვილი, 3. ლ. ქარჩაიძე. ***1986-87 წლებში დაბადებულნი. გოგონები:*** 1. ი. ჯიქია, 2. ა. ტატიშვილი, 3. ქ. ოქრუაშვილი; ***ჭაბუკები:*** 1. ლ. ქორქოლიანი, 2. გიორგი ხრიკაძე, 3. სოზარ გოქაძე. ***1984-85 წლებში დაბადებულნი*** (გოგონები არ მონაწილეობდნენ); ***ჭაბუკები:*** 1. ზ. ქვანია, 2. მ. ახალაია, 3. გ. გველესიანი.
*სურათზე: და-ძმა თამუნა და ლუკა ქორქოლიანები*

*რობერტ ბაგოიანის ფოტო*

სამშობლოს მომავალი ჯარისკაცები

# დიდუბის რაიონია, ანდა, თბილისია მხოლოდ საქართველო?

ადრე, საბჭოთა ეპოქაში ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებაზე მთელი ქვეყანა მუშაობდა, ცხადია, უპირველესად სასწავლო დაწესებულებები, დოსააფი, სპორტული ორგანიზაციები. სალაღობო ტერმინად ქცეულ მშდ-საც კი თავისი პოზიტიური დატვირთვა ჰქონდა. ყოველ შემთხვევაში, სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვეული ახალგაზრდობა ისე უნიათოდ და მოშვებულად არ გამოიყურებოდა, როგორც ეს დღესაა. საკუთარი სამშობლოს პატრიოტიზმი მეტს მოითხოვს, მაგრამ ჩვენში, ისე როგორც ბევრ სფეროში, ეს პრობლემები გულთან ახლოს არავის მიაქვს. სასურველ გამონაკლისად შეიძლება ჩაითვალოს თბილისის დიდუბის რაიონის გამგეობის, სპორტკომიტეტისა და სამხედრო კომისარიატის ძალისხმევა, რომლებიც ბოლო წლებში სისტემატურად ატარებენ წვევამდელთა პირად-გუნდურ პირველობას „პოლიატლონში". ამ დღეებში სწორედ ასეთი შეჯიბრება გაიმართა, რომლის პროგრამაში შედიოდა რბენა, ყუმბარის ტყორცნა, ცურვა და ტყვიით სროლა. სტარტზე გამოვიდა რაიონის საშუალო სკოლების, უმაღლესი სასწავლებლებისა და კოლეჯების წვევამდელთა 19 გუნდი.

საშუალო სკოლებს შორის პირველ ადგილზე გავიდა 24-ე საშუალო სკოლა (დირექტორი ლია იოსელიანი), მეორე იყო 169-ე სკოლა (ლაურა ყანდაშვილი), მესამე — 116-ე სკოლა (მედეა ლორთქიფანიძე). ***პირადი შეჯიბრება:*** 1. გიორგი ვეფხვაძე (147-ე სკ) — 122 ქულა, 2. ლაშა მებაღიშვილი (118-ე სკ) — 118, 3. ბესო კინწურაშვილი (169-ე სკ) — 106.

კოლეჯებსა და უმაღლეს სასწავლებლებში გუნდური ***ადგილები ასე განაწილდა:*** 1. საბაჟო აკადემია (რექტორი აკაკი ნიშნიანიძე), 2. პოლიტექნიკური კოლეჯი (დირექტორი ლენორი ოქრუაშვილი), 3. რკინიგზის სასწავლო ცენტრი (დირექტორი მერაბ გოცაძე). ***პირადი პირველობა:*** 1. მერაბ ბიჭიკაშვილი (საბაჟო აკადემია) — 128, 2. გიორგი იურკანოვი (რკინიგზის სასწ. ცენტრი) — 123, 3. ავთანდილ შავშოვი (პოლიტექ. კოლეჯი) — 123.



შეჯიბრებამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ საბაჟო აკადემიაში და უნივერსიტეტ „იბერიაში" ჯეროვან ყურადღებას უთმობენ ახალგაზრდობის ფიზიკურ აღზრდას. რჩეული გუნდები და მათი წარმომადგენლები დაჯილდოვდნენ ფასიანი საჩუქრებით. დაკომპლექტდა რაიონის ნაკრები, რომელიც მონაწილეობას მიიღებს საქალაქო პირველობაში, რომელსაც თბილისის მერიის სპორტისა და ტურიზმის სამსახური (უფროსი ვლადიმერ კანკავა) ჩაატარებს. სამწუხაროდ, საქართველოს პირველობის გამართვას კარგა ხანია წერტილი დაესვა.

**ც. ბაქრაძე**

## მადლობა დახმარებისათვის

**სპორტული მედიცინის ასოციაციის პრეზიდენტს**

**ბატონ გ. აბესაძეს**

ბატონო გია, ზაფხულის XXVII ოლიმპიურ თამაშებში მონაწილე სპორტსმენები და მწვრთნელები, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი მადლობას გიხდით იმ დახმარებისა და თანადგომისათვის, რომელსაც ოლიმპიური ციკლის მთელი პერიოდის მანძილზე თქვენ იჩენდით ქართველი ოლიმპიელების მიმართ და რომელმაც გარკვეულწილად განაპირობა სიდნეიში მოპოვებული შედეგები.
დარწმუნებული ვართ, რომ თქვენ მომავალში კვლავაც იქნებით ქართული სპორტისა და ოლიმპიური მოძრაობის დამხმარე და ქომაგი.

**ჯ. ბაგრატიონი,**
სეოკ-ის პრეზიდენტი
**ე. ზენაიშვილი,**
გენერალური მდივანი

1 დეკემბერს, 13 საათზე, თბილისის იპოდრომზე (განათლების სპორტსკოლა) ჩატარდება ცხენოსნობისა და თანამედროვე ხუთჭიდის ფედერაციის ყრილობა.
პრეზიდენტობის კანდიდატებმა განცხადება უნდა წარადგინონ ფედერაციაში 29 ნოემბრამდე.

**ფედერაციის პრეზიდიუმი**

# მისი აღზრდილებით მოფენილია ქვეყანა

ავთანდილ ციბაძეს დაბადებიდან 75 წლისთავი სიდნეიში ჩვენი სპორტული დელეგაციის გამგზავრების წინ შეუსრულდა. მაშინ ერთ გაწამაწიაში ვიყავით და ვინაიდან მსურდა თაობათა ამ შესანიშნავ აღმზრდელზე და როგორც პირადად ჩემს დიდ მასწავლებელზე თავად დამეწერა, ეს თემა ცოტა ხნით გადაიდო.

ვინც კარგად იცნობს ბატონ ავთანდილს, მას კი ვინ არ იცნობს, დამეთანხმება, რომ სულაც არ არის ადვილი ავტორმა ერთ საგაზეთო წერილში ჩატვირთოს ის უდიდესი ღვაწლი, რაც ამ კაცს შემოქმედებითი გულიან, სტუდენტთა თანამდგომ მეგობრად ვცანით. თავსაც გვიტოლებდა, ძალზე ახლოს იყო სტუდენტებთან, ოღონდ, ზღვარი ყოველთვის იყო დაცული, რაც მხოლოდ რჩეულ პედაგოგთა ხელოვნებაა და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, მხოლოდ სასწავლებლის კედლებით არ შემოიზღუდებოდა ჩვენი ურთიერთობა. თავად დიდი პატრიოტი, ისტორიულ ადგილებში ფეხდაფეხ გვატარებდა. რამდენიმე დოკუმენტური ფილმიდან, რომელიც მან გადაიღო, ერთ-ერთი სწორედ ჩვენი მონაწილეობით შემოინახა კინომატიანემ („წინაპართა ნაკვალევზე").



ცხოვრების ათეული წლების მანძილზე გაუწევია. ჩემსას მაინც შევეცდები და თუ რამეს დავაკლებ, სულგრძელად მომიტევოს ამაგდარმა პედაგოგმა და როგორც კოლეგამ – ჟურნალისტმა, მისი თაყვანისმცემლების დიდმა არმიამ.

ერისკაცები ქართული სპორტის ისტორიას თავისი განვითარება-დამკვიდრების ყველა ეტაპზე ჰყოლია, მაგრამ ჩვენი სახელოვანი იუბილარის შესადარი კვალი მის თანამედროვეთაგან არავის დაუმჩნევია საქართველოს სპორტული მოძრაობის წინსვლის გზაზე.

ამ წერილს იუბილარს არ ვუთანხმებ, ამიტომ ყურადღებას გავამახვილებ მხოლოდ იმ ფაქტებზე, რაც კარგად ვიცი. ვიცი, რომ ყმაწვილობაში ფეხბურთს თამაშობდა, იყო თბილისის ჩემპიონი 1939 წელს, გატაცებული იყო კალათბურთით უნივერსიტეტში სწავლის წლებში და ორგზის გახდა საქართველოს პირველობის მესამე პრიზიორი. 1944-1950 წლებში ჩოგბურთის კორტებზე გამოდიოდა, საკავშირო სარბიელზეც უსპარეზია, თბილისის ორგზის ჩემპიონი საქართველოს ოთხგზის ჩემპიონიც გახდა ჭაბუკთა გუნდურ პირველობაში.

აი, ასეთი კაცი მოვიდა ფიზიკური კულტურისა და სპორტის ინსტიტუტში 1951 წელს. უნივერსიტეტდამთავრებულმა ისტორიკოსმა, ფიზიკური კულტურისა და სპორტის ისტორიის კათედრაზე დაიწყო მუშაობა, სადაც ამ საგნის სწავლებას დღემდე უძღვება. ნამდვილად ფეხბედნიერი იყო მისი მოსვლა ამ სასწავლებელში, თითქოს შეივსო რაღაც ვაკუუმი, პედაგოგთა უფროს თაობას კი ნიჭიერი მემკვიდრე მოევლინა. გავა წლები და ბატონი ავთანდილი ფიზიკური კულტურისა და სპორტის სფეროში დაიცავს საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციებს, გამოაქვეყნებს წიგნებს, 300-ზე მეტ სტატიას სამეცნიერო და მეთოდურ საკითხებზე. საქართველოში ფიზიკური კულტურისა და სპორტის კვლევა და პროპაგანდა განუყრელად უკავშირდება მის სახელს.

... პირველად 1958 წელს შევხვდით ერთმანეთს. პირველკურსელებზე დაახლოებით 15 წლით უფროსი იყო მაშინ. დაბრძენებულ კაცად ვაღიარეთ,

ვწერ ამ სტრიქონებს და ვფიქრობ, რა იქნებოდა დღეს სპორტული კადრების სამჭედლო – ჩვენი უმაღლესი სასწავლებელი, მის კედლებში ავთანდილ ციბაძეს და მისნაირ რამდენიმე გამორჩეულ პიროვნებას, რომ არ ელვაწა. ასეთნაირები, აუდიტორიაში მხოლოდ მოვალეობის მოხდის მიზნით როდი შედიან. ბატონი ავთანდილის ფართო დიაპაზონის ლექციები ცხოვრების საგზლად ექცა თაობებს, ასეა დღესაც, ასე იქნება მომავალშიც საამაყო ტრადიციების გამგრძელებელ ამ უმაღლეს სასწავლებელში.

ავთანდილ ციბაძის ნიჭისა და დაუშრეტელი ენერგიის მადლი ამ საუკუნის მეორე ნახევარში მრავალი განხრით გამოვლინდა: მეცნიერი და პედაგოგი, ლიტერატორი და კინორეჟისორი, მთარგმნელი, ჟურნალ-გაზეთებისთვის ნოვატორობით გამორჩეული და სასურველი ავტორი (მათ შორის „ლელოსი"), ტურიზმის დაუღალავი პროპაგანდისტი, არაერთი სპორტული და შემოქმედებითი გაერთიანების აქტიური წევრი, საქართველოს სპორტული მოძრაობის სწორუპოვარი მემატიანე. ყველაფერს ვერ ჩამოვთვლი. ერთი მაინც ხაზგასმით მინდა აღვნიშნო. საქართველოში ოლიმპიური კომიტეტის ჩამოყალიბება და ამ ორგანიზაციის საქმიანობის პირველი 10 წელიწადი მაქვს მხედველობაში. ბატონი ავთანდილი სეოკ-ის შექმნის საორგანიზაციო ჯგუფში იმთავითვე ჩაერთო და უდიდესი ამაგიც დასდო. მერე დიდხანს იყო მის აღმასკომში, სეოკ-ის წევრია მისი დაფუძნებიდან. ჩამოაყალიბა და დღემდეც ხელმძღვანელობს სეოკ-თან არსებულ ოლიმპიურ აკადემიას, ამის გარდა, უდიდესი წვლილი შეიტანა საქართველოს ოლიმპიური მუზეუმის შექმნაში.

ის, რაც ადამიანში აღმატებულია, მსხვერპლს მოითხოვს. ბატონი ავთანდილი შეიძლება ამაზე არც არასოდეს დაფიქრებულა, რადგან ყოველდღიური მსხვერპლის გაღება მისთვის შინაგანი მოთხოვნილებაა, გნებავთ ის მუხტია, რომელიც მის მუხლჩაუხრელ გარჯას ასე უსაზღვროს ხდის....

მრავალ წელს კვლავაც მხნედ გვევლოთ, ბატონო ავთანდილ!

**თენგიზ ბაჩეჩილაძე**

ყურადღება!
თბილისში, „მაცნეს" ჯიხურებში „ლელო" ამიერიდან ვრცელდება გაზრდილი ტირაჟით.
ყოველ ორშაბათს მოიკითხეთ „ლელოს" ყოველკვირეული დამატება „ქართული ფეხბურთი",
რომელშიაც ქვეყნდება ქართული და მსოფლიო ფეხბურთის ცინცხალი ამბები (ეს დამატება
· იბეჭდება ორშაბათობით, დილის 5 საათზე). ვიწვევთ ამ გაზეთის ხელზე გამავრცელებლებს.

ქართული ფეხბურთი

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საინფორმაციო სპონსორი

სფფ-ს სადისციპლინო კოლეგიის სხდომაზე



# პრესკონფერენციების ჩაუტარებლობა დებულების დარღვევაა

სადისციპლინო კოლეგიის გუშინწინდელი სხდომა სწრაფ ტემპში წარიმართა და სულ რაღაც ნახევარ საათში დასრულდა, მაგრამ დროის სიმცირემ მის გადაწყვეტილებებს და სანქციებს სიმწვავე და სამკაცრე არ მოაკლო.

„კოლხეთი 1913"-ისა და „მერანის" მატჩისას მსაჯისადმი უკმაყოფილება ფოთელთა მწვრთნელმა მამუკა მიქავამ გინებით გამოხატა. საკადრისად არც მაყურებლები იქცეოდნენ, რისთვისაც მკაცრად დაისაჯა როგორც მწვრთნელი, ისე სტადიონი. მამუკა მიქავას 4 თამაშით დისკვალიფიკაცია და 200 ლარის ჯარიმა დააკისრეს. სტადიონის დირექცია მკაცრად გააფრთხილეს, გულშემატკივრების უდისციპლინობის განმეორების შემთხვევაში, სტადიონს დისკვალიფიკაცია არ ასცდება, ამჯერად კი 200 ლარის ჯარიმა აკმარეს. ანალოგიური საქციელისთვის ზუგდიდის „დინამოს" ფეხბურთელი ანზორ ჯიქია 4 მატჩს ვერ ითამაშებს და ისიც 200 ლარს გადაიხდის. მალხაზ ერაძე 3 მატჩითაა დისკვალიფიცირებული. ასევე სამსამ მატჩს გამოტოვებენ ჭაბუკთა ლიგის პირველობაზე მოასპარეზე ფეხბურთელები — პავლე გასვიანი და ზურაბ ბერიძე.

თ[illegible] შეხვედრას ვერ ითამაშებენ გაძევებული ფეხბურთელები — დათო სოლოღაშვილი („სიონი"). იოსებ დევიძე („მერანი") და თორნიკე მაისურაძე („დინამო" თბ).

ჩემპიონატის დებულებაში, საერთაშორისო წესების გათვალისწინებით, ჩაწერილია, რომ ყველა მატჩის დასრულების შემდეგ აუცილებელია პრესკონფერენციის გამართვა. თუმცა ქუთაისში უკვე ორი ტურია მწვრთნელთა და ჟურნალისტთა შეხვედრა არ შემდგარა. „ტორპედო" 300 ლარს გადაიხდის. კლუბის მენეჯერმა ვლადიმერ გუცაევმა კოლეგიას აღუთქვა, რომ ასეთი რამ აღარ განმეორდება და პრესკონფერენციების ჩატარებას თავად გააკონტროლებს.

მკითხველებს ამიერიდან გავაცნობთ ტურებში მომხდარ სხვადასხვა დარღვევებს.

XIII ტურის მატჩის მზადებისას „სინათლის" სტადიონის შემოწმებისას ინსპექტორმა და მსაჯებმა თავიანთ პატაკში აღნიშნეს თუ რა არის გამოსასწორებელი სტადიონზე მატჩის ნორმალურად ჩასატარებლად. კერძოდ, „სინათლის" სტადიონის კარის ქვედა ნაწილში, სადაც მაგრდება ბადე, გამოყენებულია არასტანდარტული (მსხვილი) მასალა, რომელიც შესაცვლელია. ტექნიკურ ზონასთან არის კანალიზაციის ჭა, რომელიც ხელს უშლის ფეხბურთელებს და მსაჯებს. სტადიონზე არა აქვთ საკაცე.

საბა ლომინაძე

# დაინტერესებულ უწყებათა და ორგანიზაციათა საყურადღებოდ!

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია გაცნობებთ, რომ 2001 წლის 1 იანვრიდან გაუქმდება ყველა სახის უფასო საშვი საქართველოს ნაკრებების მატჩებზე.

დაინტერესებულ უწყებებს და ორგანიზაციებს შეუძლიათ შეუკვეთონ ბილეთები საქართველოს ნაკრებების საშინაო მატჩებზე სფფ-ში 2001 წლის 1 თებერვლამდე (ტელ: 25 01 16).

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია

# სპორტულ ჟურნალისტთა საყურადღებოდ!

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია გაცნობებთ, რომ 2001 წლის 1 იანვრიდან გაუქმდება აქამდე არსებული აკრედიტაციები საქართველოს ნაკრებების მატჩებზე.

საქართველოს ნაკრებების მატჩებზე ჟურნალისტთა აკრედიტაცია დაიწყება ყოველი კონკრეტული მატჩის წინ ერთი თვით ადრე და დამთავრდება მატჩამდე 5 დღით ადრე. აკრედიტაციები გაიცემა რედაქციებზე.

დაინტერესებულ რედაქციებს შეუძლიათ ინფორმაცია მიიღონ ტელეფონით: 25 01 16.

მ. კვარაცხელია, სფფ-ს პრეს-ატაშე

# „პროფესიონალიზმი ყველგან და ყველაფერში"

დღეს ეს სიტყვები მხოლოდ ლოზუნგი არ უნდა იყოს, რადგან, რაც დრო გადის, თუ გვინდა სპორტში დიდ წარმატებებს მივაღწიოთ, კერძოდ, ფეხბურთში, აუცილებელია ბევრი გვყავდეს საერთაშორისო კვალიფიკაციის მწვრთნელები. სწორედ ამიტომაა, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია უყურადღებოდ არ ტოვებს ფიფა-უეფას მიერ ორგანიზებულ არც ერთ სემინარსა თუ კურსებს, სადაც ნებისმიერ ქართველ მწვრთნელს შეუძლია გაიღრმავოს თავისი ცოდნა, არ ჩამორჩეს და გაითავისოს თამაშის განვითარების თანამედროვე ტენდენციები, რისი დასტურიც გახლავთ წლეულს ქართველი მწვრთნელების მიერ ასეთი კურსების გავლის ეს ჩამონათვალიც:

ივლისში, მოსკოვში ფიფას მიერ ორგანიზებულ ე. წ. „მწვრთნელთა მომავლის" კურსებზე მივლინებული იყვნენ და შესაბამისი დიპლომები მიიღეს: 16 და 18 წლამდელთა ნაკრები გუნდების მწვრთნელებმა – თ. სულაქველიძემ, ზ. სვანაძემ, შ. ჭეიშვილმა და კ. ჟორჟიკაშვილმა.

სექტემბერში ჟენევის ევროპის ქვეყნების მწვრთნელთა სემინარში მონაწილეობდნენ შ. ჭეიშვილი და გ. გეგუჩაძე.

ოქტომბერში ფრანკფურტის ევროპის მწვრთნელთა სიმპოზიუმში მონაწილეობდნენ რ. არველაძე და გ. გეგუჩაძე. ერთი თვის მანძილზე საფეხბურთო კლუბ „გენკში" სტაჟირება გაიარა გ. გეგუჩაძემ.

20-24 ნოემბერს მალტაზე გაიმართება ე. წ. „მწვრთნელთა მასწავლებლების" კურსები, რომელზეც საქართველოში მწვრთნელთა მომზადების პროგრამას დასამტკიცებლად წარადგენს გიორგი გეგუჩაძე. ამ სემინარის დასრულების შემდეგ თბილისს ეწვევა უეფას კოორდინატორი მიშელ საბლონი. დეკემბერში განზრახულია უეფას მიერ ლიცენზირებული 120-საათიანი ე.წ. B კატეგორიის მწვრთნელთა კურსების ჩატარება, რომლის მოსმენის შემდეგ შედგება გამოცდები. ეს კურსები მუდმივად იმოქმედებს. საერთაშორისო გამოცდილების

## თბილისს უეფას კოორდინატორი ეწვევა

ინტენსიური შესწავლა და გაზიარება იმის საწინდარი გახდება, რომ ქართულ ფეხბურთში საერთოდ აიკრძალება არალიცენზირებული მწვრთნელების მუშაობა.

სფფ-ს გადაწყვეტილებით საქართველოში მწვრთნელთა მომზადების კურსებს თბილისის „დინამოს" ყოფილი მწვრთნელი გიორგი გეგუჩაძე გაუძღვება.

საბა ლომინაძე

# ტანდემის არჩევანი

გუშინ ციურიხში, ფიფას შტაბ-ბინაში სფფ-დან გაიგზავნა საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელების, რევაზ ძოძუაშვილის და დავით ყიფიანის მიერ შევსებული ანკეტა მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელის გამოსავლენად. ჩვენმა მწვრთნელთა დუეტმა ეს სამეული აირჩია:

1. ზინედინ ზიდანი (საფრანგეთი) – 5 ქულა
2. რივალდო (ბრაზილია) – 3 ქულა
3. ფრანჩესკო ტოლდო (იტალია) – 1 ქულა.

## პირველი ლიგა

XIII ტურის გამოტოვებული მატჩი

ოკეანე — ივერია 2-1

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ცხინვალი | 14 | 9 | 1 | 4 | 38-16 | 28 |
| გურია-ლოკ2 | 14 | 8 | 4 | 2 | 21-18 | 28 |
| მილანი | 14 | 8 | 3 | 3 | 21-10 | 27 |
| სამგურალი | 14 | 7 | 3 | 4 | 23-11 | 24 |
| შუქურა | 14 | 7 | 3 | 4 | 19-12 | 24 |
| მეტალურგი | 14 | 6 | 5 | 3 | 21-14 | 23 |
| დინამო (ზ) | 14 | 6 | 3 | 5 | 21-21 | 21 |
| თორი | 14 | 6 | 2 | 6 | 14-13 | 20 |
| კოლხეთი (ხ) | 14 | 3 | 5 | 6 | 9-16 | 14 |
| ოკეანე | 14 | 2 | 3 | 9 | 12-29 | 9 |
| ივერია | 14 | 2 | 3 | 9 | 7-25 | 9 |
| თბილისი | 14 | 2 | 1 | 11 | 5-26 | 7 |

XV ტური

*18 ნოემბერი*

მილანი — თორი
ცხინვალი — ივერია
კოლხეთი (ხ)-გურია — ლოკ2
ოკეანე — მეტალურგი
დინამო (ზ) — თბილისი
შუქურა — სამგურალი

საქართველოს XII ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

## XIV ტური. ანონსი

# კრიზისის დასაწყისი თუ...

დროს ვერაფერი შეაჩერებს. ეროვნულ ჩემპიონატშიც ასეა. „საშუალედო ფინიშამდე" ანუ საშობაო არდადეგებამდე ოთხი ტური დარჩა. ერთი მათგანი დღეს დაიწყება და ხვალ დამთავრდება. პარასკევს ცენტრალური მატჩი ბათუმში ჩატარდება. „დინამო" ჩემპიონატის ექს-ლიდერს „ტორპედოს" უმასპინძლებს. ქუთაისელებს მესამე ტურია აღარ მოუგიათ. ორი ფრე და პრინციპულ მატჩში შინაური მარცხი, ისეთი ამბიციური გუნდისთვის, როგორიც „ტორპედოა", შეუფერებელი შედეგია. კრიზისის ნიშნები ხომ არ იკვეთება გუნდის თამაშში? დღევანდელი მატჩი ბევრ შეკითხვას გასცემს პასუხს. იქნებ ეს ჩავარდნა დროებითია, იქნებ ჩემპიონმა, უბრალოდ, საკუთარ თავს განტვირთვის საშუალება მისცა. თუ ზღვისპირელებმა მოიგეს, მაშინ ნათელი გახდება, რომ „ტორპედოს" სამიზნე მოერღვა და კრიზისშია, „დინამო" კი დაამტკიცებს, რომ იგი საუკეთესო ექვსეულის ღირსეული წევრია და მედლებისთვის ბრძოლის უნარიც შესწევს.

ერთი პერიოდი „გორდა" და „მერანი" ლიდერებშიც იყვნენ, მაგრამ ძალა არ ეყოთ და ახლა გაფლანგულ ქულებს მისტირიან. ორივეს უძნელესი მატჩი ელის ფოთში და მცხეთაში. „კოლხეთმა" მოწინავეთა რიგებში შეაღწია და ახლა ალბათ მოპოვებულ პოზიციებს ვერაფერი დაათმობინებს, იგივე ითქმის „ვიტჯორჯიაზეც". ერთგვარი სათასო პაექრობის გაგრძელებად შეიძლება ჩაითვალოს თბილისის „დინამოსა" და ბოლნისის „სიონის" მატჩი. „დინამო" წინ მიიწევს, აგერ ქუთაისიდან ჩამოიტანა სამი ქულა, ბოლნისელებზე კი თუნდაც ერთი ქულა ალბათ წამალივით იმოქმედებს. გორში აუტსაიდერთა მატჩია. დილა — იბერია, ვის მოუტანს შვებას ეს მატჩი, ძნელი გამოსაცნობი არ უნდა იყოს. ტურის ბოლო მატჩში ეროვნულ სტადიონზე გალიდერებული „ლოკომოტივი" მსაჯებზე „გაბუტულ" სტუდენტებს მიიღებს. მეთოთხმეტე ტური წინამორბედის მსგავსად, ალბათ სატურნირო ცხრილში გარკვეულ ცვლილებებს შეიტანს. თუ რამდენად საგრძნობი იქნება ეს ცვლილებები თითოეული გუნდისთვის, რამდენიმე საათში გახდება ცნობილი.

*17 ნოემბერი*

კოლხეთი 1913 — გორდა
ვიტ ჯორჯია — მერანი 91
დილა — იბერია
დინამო (თბ) — სიონი
დინამო (ბთ) — ტორპედო

*18 ნოემბერი*

ლოკომოტივი — თსუ

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლოკომოტ. | 13 | 11 | 0 | 2 | 28-7 | 33 |
| ტორპედო | 13 | 10 | 2 | 1 | 20-5 | 32 |
| დინამო (თბ) | 13 | 9 | 1 | 3 | 26-13 | 28 |
| ვიტ ჯორჯია | 13 | 7 | 4 | 2 | 20-7 | 25 |
| კოლხ. 1913 | 13 | 6 | 1 | 6 | 14-14 | 19 |
| დინამო (ბთ) | 13 | 6 | 1 | 6 | 17-15 | 19 |
| სიონი | 13 | 4 | 3 | 6 | 11-12 | 15 |
| მერანი | 13 | 3 | 6 | 4 | 12-16 | 15 |
| თსუ | 13 | 4 | 1 | 8 | 15-25 | 13 |
| გორდა | 13 | 2 | 5 | 6 | 10-20 | 11 |
| დილა | 13 | 2 | 3 | 8 | 8-22 | 9 |
| იბერია | 13 | 0 | 1 | 12 | 3-28 | 1 |

# მსაჯები. ინსპექტორები

**კოლხეთი 1913 — გორდა:** მთავარი მსაჯი — მეშკოვი, ასისტენტები — ხუციშვილი, მენთეშაშვილი, მეოთხე მსაჯი — დოგრაშვილი, ინსპექტორი — გ. ფირცხალავა.

**ვიტ ჯორჯია — მერანი:** მთავარი მსაჯი — ა. შალამბერიძე, ასისტენტები — კიკაჩეიშვილი, რუსიშვილი, მეოთხე მსაჯი — მალაღურაძე, ინსპექტორი — მ. ლაცაბიძე.

**დილა — იბერია:** მთავარი მსაჯი — მესხი, ასისტენტები — ელიკაშვილი, ჯვარიძე, მეოთხე მსაჯი — შილაკაძე, ინსპექტორი — ნ. კაკულია.

**დინამო (თბ) — სიონი:** მთავარი მსაჯი — ს. კვარაცხელია, ასისტენტები — მიქელაძე, ჩიგოგიძე, მეოთხე მსაჯი — ფანიაშვილი, ინსპექტორი — დურსუნიში.

**დინამო (ბთ) — ტორპედო:** მთავარი მსაჯი — სანაია, ასისტენტები — სამხარაძე, ცირდავა, მეოთხე მსაჯი — ანიაშვილი, ინსპექტორი — მილჩენკო.

**ლოკომოტივი — თსუ:** მთავარი მსაჯი — შილაკაძე, ასისტენტები — დოლიძე, ი. შალამბერიძე, მეოთხე მსაჯი — კრიჭაშვილი, ინსპექტორი — მ. კობიაშვილი.

# კაჭი და მისი გუნდი ძმები არველაძეების მოლოდინშია

კიევის „დინამოდან“ ***კახი კალაძის*** „მილანში“ შესაძლო გადასვლაზე ქართულ პრესაში ბევრი დაიწერა. ბოლო ინფორმაციით, ამ ტრანსფერს წინ არაფერი უდგას: დინამოელთა კლუბისა და, იმავდროულად, უკრაინის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი გრიგორი სურკისი ამჟამად მილანში იმყოფება და იქაური კლუბის მესვეურებთან აქვს მოლაპარაკება, რომლის შედეგი ჯერჯერობით უცნობია. გამომზეურდა მხოლოდ ის, რომ ქართველი ლეგიონერის სასტარტო ფასი '17 მილიონი ამერიკული დოლარია

ახლა ისიც ვთქვათ, რა სარგებლობას ნახავს ქართული ფეხბურთი კალაძის ახალი ტრანსფერით? ჯერ ერთი, ევროპის ერთ-ერთ უძლიერეს სუპერ-კლუბში გადასვლით შესაძლებლობა მიეცემა უფრო აიმაღლოს ოსტატობა, მეორეს მხრივ, ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, თბილისის „დინამოდან“ უკრაინულ კლუბში გადასვლის ტრანსფერი ისეთნაირადაა შედგენილი, თუ შემდგომში კალაძე კიევიდან სხვა გუნდში გაიყიდება, ნახევარი თანხა თბილისური კლუბის იქნება. თავად განსაჯეთ, რა შვებას იგრძნობს თბილისის „დინამო“, რომელიც დღესაც ყელამდე ვალებშია ჩაფლული,

„დინამოსი“ არ იყოს, მნიშვნელოვანი შემოსავლის მოლოდინშია მეორე თბილისური კლუბი — „ლოკომოტივიც“. რკინიგზელები ორი ახალგაზრდა მცველის ***ზურაბ ხიზანიშვილისა*** და ***ლევან სილაგაძის*** გაყიდვით კლუბის ყულაბას მინიმუმ 10 მილიონი დოლარით შეავსებენ. თუმცა, მოდით, ნუ ავჩქარდებით და დაველოდოთ 18 ნოემბერს, როდესაც შედგება საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის კალენდარული მატჩი „ლოკომოტივსა“ და თსუ-ს შორის. როგორც ცნობილია, ამ შეხვედრას ლონდონის „არსენალის“ მთავარი სკაუტი დაესწრება, რომელიც ზურაბ ხიზანიშვილის თამაშს დააკვირდება და მეთოფეთა თავკაცს არსენ ვენგერს მოახსენებს თავის აზრს, ღირს თუ არა ქართველი მცველის ყიდვა. ზემოხსენებულ მატჩს დაესწრებიან იტალიელი მსტოვრებიც, კონკრეტულად სერია-A-ს რომელი კლუბიდან, უცნობია. ისინი ლევან სილაგაძის ოსტატობას დააკვირდებიან და, ალბათ, იმთავითვე კონკრეტულად მოელაპარაკებიან „ლოკომოტივის“ მესვეურებს ტრანსფერის გაფორმების თაობაზე.

რაკი იტალიაზე ჩამოვარდა სიტყვა, ერთ ინფორმაციასაც გაგაცნობთ, რომელიც სერია-A-ში დაბრუნებული „ნაპოლის“ საინტერნეტო გვერდში ამოვიკითხეთ: „ნეაპოლიტანური კლუბის სუსტი თამაშის გამო თანამდებობიდან გაანთავისუფლეს ჩეხი მწვრთნელი ზდენეკ ზემანი და მის ნაცვლად „ტორინოს“ ხელმძღვანელი ემელიანო მონდოვიკო დანიშნეს. ახალმა მწვრთნელმა კლუბის მეპატრონეებს უკვე წარუდგინა მოთამაშეების სია, რომლებიც გუნდის გასაძლიერებლად ესაჭიროება. ინტერნეტით გავრცელებულ ცნობაში ნათქვამია, რომ მონდოვიკოს ნუსხაში პირველ ნომრად დასახელებულია შოტლანდიის „დანდის“ ქართველი ლეგიონერი, ნახევარმცველი ***გიორგი ნემსაძე***. ორ დაინტერესებულ კლუბს შორის მოლაპარაკება უკვე დაწყებულია და, თურმე შოტლანდიელები, რომლებსაც თავის დროზე ნემსაძეში ცენტიც არ გადაუხდიათ (იგი იმ დროს თავისუფალი აგენტი იყო), საქართველოს ნაკრების კაპიტნის სანაცვლოდ 3 მილიონ გირვანქა სტერლინგს (5,2 მილიონი დოლარი) ითხოვენ“.

იტალიაშივე აპირებს კარიერის გაგრძელებას რიგის „სკონტოსა“ და საქართველოს ეროვნული ნაკრების ნახევარმცველი ***ზურაბ მენთეშაშვილი.*** მისი გადაბირებით სერია-B-ს სალერნოს „სალერნიტანაა“ დაინტერესებული.

ახლა მთავარ თემაზე: მას შემდეგ, რაც თურქული „ტრაბზონსპორიდან“, სადაც რჩეულმა გოლეადორმა ***შოთა არველაძემ*** საყოველთაო აღიარება მოიპოვა, ჰოლანდიის საუკეთესო გუნდი „აიაქსში“ გადავიდა, ორ წელზე მეტი გაატარა. ქართველმა ლეგიონერმა ორი სეზონის განმავლობაში 40 მატჩი გამართა და 32 გოლი გაიტანა, მაგრამ მას შემდეგ, რაც გუნდიდან გაუშვეს დანიელი მწვრთნელი მორტენ ოლსენი, ახალმა, რონალდ ვატერეუსმა „აიაქსიდან“ ერთდროულად 12 (!) ფეხბურთელი გაუშვა. ცხადია, ეს დიდი ავანტიურა გამოდგა — გუნდმა მკვეთრად უკლო „სვლას“ და სატურნირო ცხრილში თანდათან დაბლა დაეშვა. ვატერეუსმა გუნდში ბერძენი ნიკოს მახლასი მიიყვანა და მინდორზე სასტარტო შემადგენლობაში უმეტესწილად იგი გამოჰყავდა. ამან აშკარად არ გაამართლა და „აიაქსიდან“ ისიც დაითხოვეს.

ქართველ გულშემატკივრებს ახსოვთ, რომ ორი წლის წინათ თბილისის „დინამოს“ სასტიკად დამმარცხებელი ჰოლანდიური „ტილბურგის“ მთავარი მწვრთნელი კო ადრიაანსე იყო. სწორედ ის დანიშნეს „აიაქსის“ თავკაცად. იგი ბუნებით რბილი კაცია — არც ბერძენ მახლასს სწყვეტდა გულს, არც შოთას და მათ თავდასხმაში რიგრიგობით უთმობდა ადგილს. მწვრთნელის ასეთმა სვლამ არ გაამართლა — ტრავმის შემდეგ მოშუშებული ქართველი ლეგიონერი აშკარად სჯობდა მახლასს, უეფას თასის განმეორებით შეხვედრაში ლამაზი გოლიც გაუტანა შვეიცარიულ „ლოზანას“, მაგრამ ამან ევროტურნირებიდან „აიაქსის“ გავარდნას ვერ უშველა. ამ ამბავმა შოთა არველაძეს ძალიან დასწყვიტა გული — როგორი საქმეა, ჰოლანდიის ჩემპიონატში გუნდი სატურნირო ცხრილის შუაგულშია, არც სხვა, საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობა. ამიტომაა, შოთა არველაძემ განაცხადა კიდეც: „ეტყობა, ჩემი კარიერა ჰოლანდიურ კლუბში დასასრულს უახლოვდება. გულწრფელად გეტყვით, აქ თამაშით სიამოვნებას ვერ ვიღებ. წინადადებები მაქვს მრავალი ქვეყნის საფეხბურთო კლუბიდან, განსაკუთრებით მოწადინებულები არიან თურქები“.

ცხადია შოთას დავუკავშირდით:

● ***გავრცელდა ინფორმაცია თქვენი „აიაქსიდან“ თურქულ „გალათასარაიში“ გადასვლის შესახებ. რამდენად შეეფერება ეს სიმართლეს?***



ძმები — შოთა და არჩილ არველაძეები

— არ დაგიმალავთ, ეს ცნობა სიმართლეს შეეფერება. „აიაქსში“ დღეს შექმნილი სიტუაცია აშკარად მიბიძგებს სხვა, უფრო პრესტიჟული გუნდი მოვნახო და მიუხედავად იმისა, კონტრაქტი გაისად, მაისში მისრულდება, ოფიციალურად განვაცხადე კიდევაც ჩემი სურვილის შესახებ. ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციით, ამჟამად „აიაქსის“ კლუბის მესვეურებთან მოლაპარაკება აქვთ უეფას თასის მფლობელი გუნდის „გალათასარაის“ თავკაცებს. არც ისაა გამორიცხული „აიაქსთან“ სხვებსაც ჰქონდეთ უკვე კონტაქტები.

● ***„გალათასარაიდან“, როგორც შევიტყვეთ, ცენტრფორვარდი მარიო ჟარდელი მიდის, ცხადია, მათ თქვენი კანდიდატურა ხელს უნდა აძლევდეს...***

— არ ვიცი, კონკრეტულად ვერაფერს გეტყვით, ვნახოთ, როგორ დამთავრდება მოლაპარაკებები. ერთს დავსძენ, „ტრაბზონსპორში“ თამაშისას კარგად დავეუფლე თურქულ ენას, არც „გალას“ თამაშის სტილია ჩემთვის უცხო, ამიტომ ნამდვილად წინააღმდეგი არ ვიქნები ამ ტრანსფერისა. თუმცა, სჯობს წინასწარ ნუ ვილაპარაკებთ ამაზე.



კახი კალაძე

***შოთასთან*** *ეს საუბარი 14 ნოემბერს შედგა, იმავდროულად დავუკავშირდით მის უფროს ძმას, თბილისის „დინამოს“ მთავარ მწვრთნელს, რევაზ არველაძეს, რომელმაც დაადასტურა „აიაქსისა“ და „გალათასარაის“ შორის მოლაპარაკებები.*

*ამის შემდეგ „გალათასარაის“ საინტერნეტო გვერდსაც გადავხედეთ, სადაც შავზე თეთრით სწერია, რომ „გალას“ მესვეურები ნამდვილად დაინტერესებულნი არიან გადაიბირონ შოთა არველაძე, რომელიც, ერთ დროს თავის ტყუპისცალთან ერთად „ტრაბზონსპორის“ რიგებში იყო... მისდამი დაინტერესება დიდია და „გალათასარაის“ კლუბის ხელმძღვანელობა მზადაა ქართველი ფორვარდის შესაძენად... არველაძის სატრანსფერო თანხა 13 მილიონ ამერიკულ დოლარს უდრის“.*

*ამ ცნობას, ცხადია, სპორტული მასმედიაც გამოეხმაურა. თურქული გაზეთ „ფანატიკის“ 14 ნოემბრის ნომერში გამოქვეყნებულია „გალას“ წამყვანი მოთამაშის, რუმინელი გეორგე ჰაჯის ინტერვიუ, სადაც იგი ამ გუნდში არველაძის შესაძლო ტრანსფერს ეხება:*

● ***გავრცელდა ინფორმაცია მარიო ჟარდელის ნაცვლად „გალაში“ აიაქსელი შოთა არველაძის გადმოყვანის თაობაზე. რა აზრის ხართ ამაზე?***

*— დიახ, არ დაგიმალავთ, ვიცით, რომ ბრაზილიელი ფორვარდი ძალზე მოწადინებულია კვლავ პორტუგალიაში დაბრუნდეს (ლაპარაკია ჟარდელის „ბენფიკაში“ გადასვლაზე — ჯ.ჭ.). ვაკუუმის შესავსებად ნამდვილად გვჭირდება გოლეადორი. ასეთად, პირველ რიგში, ჰოლანდიის „აიაქსში“ მოთამაშე შოთა არველაძე მიგვაჩნია. ვფიქრობ, მას თურქულ ფეხბურთში ადაპტაცია არ გაუჭირდება, ვინაიდან ადრე „ტრაბზონსპორის“ რჩეული ფორვარდი იყო ტყუპის ცალ არჩილთან ერთად...“*

*რაკი არჩილს შევეხეთ, იმასაც გაცნობებთ, რომ „გალას“ თავკაცებმა გერმანულ „კიოლნის“ მესვეურებს მიმართეს თხოვნით შეეფასებინათ ქართველი ლეგიონერი. ეს იმას ნიშნავს, რომ ტყუპი არველაძეები „ტრაბზონსპორისა“ არ იყოს, ალბათ, კვლავ ერთ გუნდში ითამაშებენ და ისევ აგუგუნდება თურქი გულშემატკივრის ძახილი — „შოთი!“..., „აჩი!..“*

ჯემალ ჭიაშვილი

## ფეხბურთის სამაგალითო მსაჯური

***ჯემალ გაბისონია***

***დაიბადა*** 1941 წელს თბილისში

***დაამთავრა*** 1-ლი საშ. სკოლა, მწვრთნელთა სკოლა, ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი.

***თამაშობდა*** „ნორჩ დინამოელში“ გრიშა გაგუასთან.

***მუშაობდა*** ამავე სპორტსკოლაში მწვრთნელად.

***1974-1996 წლებში*** შს სამინისტროში გაიგზავნა სამუშაოდ სპორტსაზოგადოება „დინამოს“ საბჭოს დადგენილებით, გახდა ვიცე-პოლკოვნიკი, ამჟამად პენსიონერია.

***არის*** საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკი, ღირსების ორდენის კავალერი.



*ჯემალ გაბისონია*

● ***რამდენი წლის იყავით ფეხბურთის თამაში რომ დაიწყეთ?***

— 12 წლისა მივედი „ნორჩ დინამოელში“. 1956-1957 წლებში „დინამოს“ საკავშირო პირველობა მოვიგეთ, ვიყავით საქართველოს ჩემპიონი „დინამო 1“-ის შემადგენლობაში, მერე უმაღლესი სასწავლებლების საკავშირო პირველობაზე ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდმა უძლიერესის სახელი მოვიპოვეთ.

● ***„ნორჩ დინამოელში“ აღიზარდეთ და მწვრთნელობაც იქვე დაიწყეთ. ვინ გასახელათ ყველაზე მეტად შეგირდებიდან?***

— მწვრნელობა ჩემი აღმზრდელი გრიშა გაგუას დაჟინებული თხოვნით დავიწყე. იმ შეგირდებიდან, რომლებმაც ყველაზე მეტად გაითქვეს სახელი, დავასახელებდი გელა კეტაშვილს, ვლადიმერ გუცაევს, დავით მუჯირს, გიორგი ჰილაიას, გოჩა ტყებუჩავას, ზაზა კახაძეს, ორი წელიწადი იარა ჩემთან კახი ასათიანმა, ცხადია, იყვნენ სხვებიც...

● ***ამჟამად მწვრთნელად თუ მუშაობს ვინმე?***

— ჩემი ყოფილი მოსწავლეებიდან სამწვრთნელო მოღვაწეობას ეწევიან ანზორ ჯინჭარაძე, გია ლეჟავა, ნოდარ აკობია და თემურ ლორთქიფანიძე. არიან მსაჯებიც — თამაზ ლორთქიფანიძე, ავთანდილ კოკაია, ალექსანდრე მეშკოვი.

● ***კოკაიამ თბილისის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობის კანდიდატად წამოაყენა თავი. გვაინტერესებს თქვენი აზრი მის შესახებ...***

— ავთანდილ კოკაია 20 წელიწადია თბილისის საფეხბურთო ორგანიზაციაში მუშაობს. მას დიდი გამოცდილება დაუგროვდა, კარგი პიროვნებაა, მიმდგომია, პრინციპულიც. ბევრი რამე გააკეთა — თბილისში ტარდება ბავშვთა შეჯიბრებები, რეგიონული ლიგა, რაშიაც დიდია მისი წვლილი. ახლანდელმა პრეზიდენტმა ნოდარ ანდრიაძემ იგი თავის შემცვლელად დაასახელა. კოკაია რომ კარგი ხელმძღვანელი იქნება, ყველას გვჯერა.

● ***თქვენ სფფ-ს სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტის სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარის მოადგილეობაც გაკისრიათ საზოგადოებრივ საწყისებზე, თავადაც მონაწილეობთ მატჩების ინსპექტირებაში?***

— პირველი ლიგის და რეგიონული ლიგის მატჩებს ვემსახურები.

● ***პრინციპული ხართ?***

— ძალიან, მატჩებზე პოლიციის ფორმით დავდივარ, რაც გარკვეულ რიდს იწვევს. ყველაზე პრინციპულ მატჩებზე მგზავნიან.

● ***სფფ რომ ენერგიულად მუშაობს და ბევრი მიმართულებით გამოასწორა საქმე, ყველა კარგად ხედავს. თქვენი შეფასება გვაინტერესებს...***

— მართლაც, არ შეიძლება არ დაინახო ის გარდაქმნები, რომელიც ფედერაციამ, პირადად მისი ხელმძღვანელობის მერაბ ჟორდანიას და ვალერი ჩოლარიას მიზანმიმართული მიდგომით განახორციელა. ეს პროცესი გრძელდება. დღეს სულ სხვა ვითარებაა მსაჯობაში, რაშიაც დიდია შესაბამისი კომიტეტისა და მისი თავკაცის ანატოლი მილჩენკოს დამსახურება.

● ***საერთოდ, ქართულ ფეხბურთზე რას იტყოდით?***

— წინ მივიწევთ. დღეს საქართველოში ფეხბურთის ბუმია, უამრავი მოზარდი ეტანება სპორტის ამ სახეობას, მაგრამ არ გვივარგა სათამაშო მინდვრები. კარგია, რომ ხშირად ტარდება შეჯიბრებები. განსაკუთრებით გამოვყოფდი მესხის, მეტრეველის, ჩოხელის ტურნირებს, სადაც სხვადასხვა ასაკის მოზარდ ფეხბურთელებს ეძლევათ თავგამოჩენის შესაძლებლობა. არ მომწონს და, ეს სხვების აზრიცაა, რომ ჯერ კიდევ ზრდადაუსრულებელი მოთამაშეები მიდიან უცხოეთში. იქ გაზრდილი და დაოსტატებული მოზარდი ჯერ არ გვინახავს. კარგი იქნება თუ ჩვენი მწვრთნელები მეტ ყურადღებას მიაქცევენ ფიზიკურ მომზადებას, მხოლოდ ტექნიკით დღეს შორს ვერ წახვალ.

● ***კიდევ რისი თქმა გსურთ?***

— რაც ახლა მინდა გითხრათ, არა მხოლოდ ფეხბურთს, მთლიანად ქართულ სპორტს ეხება. ყველა ჩაგვაფიქრა სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარის კახი ასათიანის გადაწყვეტილებამ გადადგეს თანამდებობიდან. ის, რაც ქართულმა სპორტმა მისი ხელმძღვანელობით გააკეთა უფრთულეს პირობებში, ყველა ვერ შეძლებს. სიდნეიში მოპოვებულმა მედლებმა დაგვარწმუნა, რომ საქართველოში სპორტის განვითარების სწორი სტრატეგიული გეზი იყო შემუშავებული. ასეთ დროს თუ კახი ასათიანი წავა თანამდებობიდან, ეს დიდი დანაკლისი იქნება. ჩვენ უმორჩილესად ვთხოვთ მას — ნუ გადადგამს ამ ნაბიჯს.

ესაუბრა

თ. თომაშვილი

## იწვევენ კონფერენციაზე

ა.წ. 7-დან 10 დეკემბრამდე ბულგარეთის ქალაქ სანდანსკში გაიმართება კონფერენცია „ფეხბურთში ტრავმატიზმისა და სამედიცინო მკურნალობის შესახებ“, რომელსაც წარუძღვება უეფას სამედიცინო კომიტიტეტის თავმჯდომარე დოქტორი ურს ფოფელი. კონფერენციაზე განიხილება აგრეთვე დოპინგ-კონტროლის საკითხიც. კონფერენციის მონაწილეები იცხოვრებენ ჰოტელ „სანდანსკში“, მათთვის გათვალისწინებულია ექსკურსიებიც. კონფერენციის შემდეგ მონაწილეები სერთიფიკატს მიიღებენ.

მსურველებს შეუძლიათ ინფორმაციის მიღება მენეჯერ დიმიტარ ბრატანოვთან შემდეგ ტელეფონებზე: 8-10-359-48936781; 8-10-3592-9310845.

**საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია სამძიმარს უცხადებს საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს, თბილისის „დინამოსა“ და „სპარტაკის“ ვეტერან ფეხბურთელს თენგიზ კუბლაშვილს მეუღლის გარდაცვალების გამო.**

**საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია სამძიმარს უცხადებს საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მთავარ მწვრთნელს მურთაზ ხურცილავას სიძის გარდაცვალების გამო.**

**საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია სამძიმარს უცხადებს თბილისის „დინამოს“ ვეტერან ფეხბურთელს გაიოზ ჯეჯელავას მეუღლის გარდაცვალების გამო.**

# მსაჯებმა და მასმედიამ ერთად ვიზრუნოთ ქართული ფეხბურთის დონის ასამაღლებლად

15 ნოემბერს „დინამოს“ სტადიონზე“ გაიმართა სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტისა და პრესის წარმომადგენელთა შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდნენ: სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტის თავმჯდომარე ა. მილჩენკო. თავმჯდომარის მოადგილე, სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარე ო. გუნთაძე. საექსპერტო-საკვალიფიკაციო კომისიის თავმჯდომარე კ. ყრუაშვილი, კომისიის წევრი მ. კობიაშვილი, სფფ-ს პრესცენტრის ხელმძღვანელი მ. კვარაცხელია, ეროვნული პირველობის მომსახურე მსაჯები და პრესის წარმომადგენლები.

დღის წესრიგში იყო პრესისა და მსაჯების ურთიერთობის საკითხი.

მასმედიის წარმომადგენლები დაესწრნენ მსაჯების ვარჯიშს, ხოლო შემდეგ გაიმართა გულახდილი საუბარი მსაჯებსა და პრესის წარმომადგენლებს შორის.

ა. მილჩენკომ აღნიშნა, რომ ამ ბოლო დროს პრესაში გახშირდა მსაჯების მიმართ უარყოფითი ხასიათის სტატიები, რაც ხელს უშლის მათ თავიანთი პროფესიული მოვალეობის კვალიფიციურად შესრულებაში და ასე დაძაბული ჩემპიონატის სათანადო დონეზე ჩატარებაში. პრესამ და ფეხბურთის ყველა სპეციალისტმა ერთად უნდა ვიზრუნოთ ფეხბურთის დონის ამაღლებაზე.

კ. ყრუაშვილიმა პრესის წარმომადგენლებს ურჩია უფრო ახლო კავშირი იქონიონ სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტთან და ნუ იჩქარებენ დაუსაბუთებელი ფაქტების გამოქვეყნებას.

მ. მალაღურაძე: მსაჯები დაუცველი ვართ, ჩვენ ვცდილობთ, რაც შეიძლება მაღალ დონეზე მოვემსახუროთ მატჩებს და ამისათვის გვერდში დგომა გვჭირდება და არა დაპირისპირება.

ა. შილაკაძე: მსაჯები ამ ეტაპზე უფრო მაღალ დონეზე ვდგევართ, ვიდრე ბევრი პრეზიდენტი, ფეხბურთელი ან მწვრთნელი, თუმცა, ყველაზე მეტი დატვირთვა მაინც მსაჯებზე მოდის, რადგან მსაჯებზე ზეწოლა ყველა დონეზე გრძელდება და ამას პრესის წარმომადგენლებიც გარკვეულწილად ხელს უწყობენ, რადგან პრესაში ვრცელდება ცალმხრივი და დაუსაბუთებელი ინფორმაციები.

პრესისა და სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტის ხელმძღვანელობა და მსაჯები შეთანხმდნენ დადგინდეს ერთი დღე, როდესაც შესაძლებელი იქნება მათი შეხვედრა და აზრის გაზიარება, ამასთან, კარგი იქნება, თუ ყოველი ტურის ან მატჩის შემდეგ მოხდება ამა თუ იმ ინციდენტის განხილვა და მხოლოდ ამის შემდეგ გაშუქდეს პრესაში.

შეთანხმდნენ, რომ ყოველი ტურის შემდეგ. ოთხშაბათობით, პრესის წარმომადგენლები და მსაჯები სფფ-ს სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტში შეხვდნენ ერთმანეთს, სადაც მოხდება განვლილი ტურის მატჩების განხილვა და აზრთა გაზიარება, რათა ყველა მატჩი ჩატარდეს ფიფა-სა და უეფა-ს წესდების გათვალისწინებით და სფფ-ს რეგლამენტის სრული დაცვით.

*სფფ-ს სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტი*

## თბილისის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმში პრეზიდენტობის კიდევ ერთი კანდიდატურის წარდგინება შევიდა. საფეხბურთო კლუბი „მერანი“ რეკომენდაციას უწევს ამავე კლუბის დირექტორს გენადი ქიქავას



*გენადი ქიქავა*

დაიბადა 1946 წელს თბილისში

დაამთავრა მე-100 სკოლა და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კავშირგაბმულობის ფაკულტეტი.

ფეხბურთს თამაშობდა „ნორჩ დინამოელში“, სპორტკლუბ „უშბაში“,.

1978-1990 წლებში მუშაობდა კავშირგაბმულობის სამინისტროში ფიზკულტურის ინსტრუქტორად.

1990 წლიდან დღემდე მუშაობს სპორტკლუბ „მერანის“ დირექტორად.

**კანდიდატურების წარდგენის ვადა ამოიწურა 15 ნოემბერს, ამრიგად, თბილისის ფეხბურთის ფედერაციის მოახლოებულ ყრილობაზე ავთანდილ კოკაიას და გენადი ქიქავას კანდიდატურებს განიხილავენ და მათ შორის გამარჯვებული დაიკავებს ფედერაციის პრეზიდენტის პოსტს.**

## ევროპა

### II ჯგუფი

კვიპროსი — ანდორა 5-0

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუგალია | 3 | 2 | 1 | 0 | 6-2 | 7 |
| კვიპროსი | 3 | 2 | 0 | 1 | 8-6 | 6 |
| ესტონეთი | 4 | 2 | 0 | 2 | 4-6 | 6 |
| ირლანდია | 3 | 1 | 2 | 0 | 5-3 | 5 |
| ჰოლანდია | 3 | 1 | 1 | 1 | 6-4 | 4 |
| ანდორა | 4 | 0 | 0 | 4 | 3-11 | 0 |

### VI ჯგუფი

სან-მარინო — ლატვია 0-1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შოტლანდია | 3 | 2 | 1 | 0 | 4-1 | 7 |
| ბელგია | 2 | 1 | 1 | 0 | 4-0 | 4 |
| ლატვია | 3 | 1 | 0 | 2 | 1-5 | 3 |
| ხორვატია | 2 | 0 | 2 | 0 | 1-1 | 2 |
| სან მარინო | 2 | 0 | 0 | 2 | 0-3 | 0 |

## სამხრეთ ამერიკა

### X ტური

**ბრაზილია — კოლუმბია 1-0**
**ბოლივია — ურუგვაი 0-0**
**ვენესუელა — ეკვადორი 1-2**
**პარაგვაი — პერუ 5-1**
**ჩილე — არგენტინა 0-2**

ტურის ცენტრალური მატჩი სანტიაგოში გაიმართა. ჩილეს ნაკრები საშინაო მატჩებს ყოველთვის აღმავლობით ატარებს, ამას წინათ ბრაზილიაც კი გაანადგურა — 3-0. მწვრთნელ აკოსტას შეგირდები ახლაც იმედოვნებდნენ, რომ იგივეს ბიელსას გუნდს დამართავდნენ, მით უმეტეს ამ დღეს სტუმრებს ძირითადი შემადგენლობის 7 (!) ფეხბურთელი არ ჰყავდათ, მათ შორის ტრავმირებულნი გაბრიელ ბატისტუტა, ერნან კრესპო, კლაუდიო ლოპესი. მიუხედავად ამისა, გათამაშების ლიდერმა ჩილედან მაინც მოახერხა სამი ქულის წაღება.

მატჩი, ძირითადში, მასპინძელთა უპირატესობით მიმდინარეობდა, განსაკუთრებული აქტივობით გამოირჩეოდნენ ფორვარდები სამორანო და სალასი. არგენტინელებმა ჩილელთა ზეწოლას ჭკვიანური ტაქტიკა დაუპირისპირეს: დიდი ძალებით იცავდნენ თავს, ხოლო ჩაუვარდებოდათ თუ არა ბურთი, გრძელი, გამჭოლი გადაცემებით სახიფათო მომენტებს უქმნიდნენ წინ წაწეულ კრუზსა და ორტეგას. სწორედ ასეთი კონტრშეტევებით გაიტანეს არგენტინელებმა გოლები: ეს ჯერ ორტეგამ მოახერხა 27-ე წუთზე, ხოლო მატჩის ბოლოსწინა წუთზე — ჰუსენმა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არგენტინა | 10 | 8 | 1 | 1 | 22-8 | 25 |
| ბრაზილია | 10 | 6 | 2 | 2 | 21-9 | 20 |
| პარაგვაი | 10 | 6 | 2 | 2 | 18-9 | 20 |
| ეკვადორი | 10 | 5 | 1 | 4 | 12-14 | 16 |
| ურუგვაი | 10 | 4 | 3 | 3 | 12-7 | 15 |
| კოლუმბია | 10 | 4 | 3 | 3 | 8-7 | 15 |
| ჩილე | 10 | 3 | 1 | 6 | 11-13 | 10 |
| ბოლივია | 10 | 2 | 3 | 5 | 5-14 | 9 |
| პერუ | 10 | 2 | 2 | 6 | 7-13 | 8 |
| ვენესუელა | 10 | 1 | 0 | 9 | 6-28 | 3 |

## კონკაკაფი

გვატემალა — კოსტა-რიკა 2-1
ბარბადოსი — აშშ 0-4
სენტ-ვინსენტი — ჰონდურასი 0-7

* * *

***21-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი.***
***ბოსნია — საფრანგეთი 0-1***

## ბავშვთა ლიგა

თბილისი. „ნორჩი დინამოელის“ სტადიონი. „დინამო“ —„თბილისი“ 4-3

**„დინამო“:** ჯვარშეიშვილი (ლომიძე 55), კანთელაძე, ლომაია, ბერიანიძე, ღუჭაშვილი, ზურიკაშვილი, კვახაძე, კაპანაძე (დვალი 38), ბუბუტეიშვილი (ალავიძე, 36), კაციტაძე, გულუა.

**„თბილისი“:** ქილიფთარი, რაზმაძე, პერანიძე, ობგაიძე, როსტომაშვილი (გონგლაძე 64), ბურდილაძე (ბორძიკული 62), ხმალაძე, ბობოხიძე. ლაბაძე (თავაძე 51), გერსამია (ბზიკაძე 36), ცირამუა (კობახიძე 62).

***გოლები:*** 0-1 ხმალაძე (18), 1-1 კაციტაძე (43 პენ.), 1-2 ბობოხიძე (51), 1-3 როსტომაშვილი (55), 2-3 ღუჭაშვილი (61), 3-3 ზურიკაშვილი (66), 4-3 ღუჭაშვილი (68).

***გააფრთხილეს:*** გერსამია (30), გულუა (52)

***გააძევეს:*** რაზმაძე (70)

***მსაჯები:*** არსენ ნონიკაშვილი, ვასილ ელიზბარაშვილი, ოთარ ხეცაძე (ყველა — თბილისი).



I ტურის გადადებული მატჩი „დინამოსა“ და „თბილისს“ შორის უშეღავათო, დაძაბული გამოდგა.

პირველი სახიფათო შეტევა სტუმრებმა განახორციელეს, როდესაც ბურდილაძის დირტყმულს მეკარე ჯვარშეიშვილი დაეუფლა. შემდეგ უკვე დინამოელმა კაციტაძემ დაარტყა კარის მიმართულებით, მაგრამ ოდნავ უზუსტოდ. აქვე მასპინძელთა მიერ შესრულებული საჯარიმო დარტყმის შემდეგ ზურიკაშვილმა გოლი გაიტანა, მაგრამ, თამაშგარე მდგომარეობიდან. ამის შემდეგ მასპინძლები მცირე ტერიტორიულ უპირატესობას დაეუფლნენ, მაგრამ სტუმართა ერთ-ერთი კონტრშეტევის დროს ცირამუას მიერ ჩამოწოდებულ კუთხურს ხმალაძემ თავი შეაგება და „ცხრიანში“ გაიტანა.

მეორე ტაიმში მასპინძელთა გაუთავებელ შეტევებს მოჰყვა ღუჭაშვილის აქტიურობით დამსახურებული თერთმეტმეტრიანი, რომელიც კაციტაძემ კიდეც გაიტანა. თუმცა, „თბილისი“ არაფრის დათმობას არ აპირებდა და რამდენიმე წუთში ბობოხიძემ ულამაზესი გოლით გააწბილა დინამოელები. არ გასულა ოთხი წუთი და როსტომაშვილმა მეკარეს ბურთი თავზე გადაუგდო და კარის ბადეც შეარხია. მიუხედავად მეტოქის ორბურთიანი უპირატესობისა, დინამოელები არ მოეშვნენ და გოლებიც გაიტანეს, რომელიც მათი ქაოსური შეტაკების ლოგიკური შედეგი იყო. ჯერ იყო და ღუჭაშვილმა გაიტანა, ამას მოჰყვა ზურიკაშვილის გოლი და თამაშის მიწურულს კი ღუჭაშვილმა დუბლი შეასრულა და გამარჯვების გოლიც გაიტანა.

„დინამოს“ მთავარი მწვრთნელი რეზო გაგუა მატჩის შემდეგ:

„ჩემი გუნდის თამაშით კმაყოფილი ვარ. მეტოქემაც ღირსეული წინააღმდეგობა გაგვიწია. შეხვედრა იმდენად დაძაბული გამოდგა, რომ უმაღლესი ლიგის ბევრი თამაში არ შეედრება სანახაობისა და ინტერესის მხრივ. მისასალმებელია, რომ ახალგაზრდები ასეთი მონდომებით თამაშობენ. კარგი თაობა მოდის, რაც მახარებს.

ჩემი გუნდიდან თითქმის ყველამ დაიმსახურა მოწონება, მაგრამ განსაკუთრებით აღვნიშნავ კაციტაძისა და კვახაძის შედეგიან თამაშს. მოწინააღმდეგე გუნდიდან ცალკეულად გამორჩევისაგან თავს შევიკავებდი“.

**ნინო ცირამუა**

## ამხანაგური კი იყო, მაგრამ ფრანგებმა თურქებს მათივე მინდორზე რა დღე აყარეს!



***ამ ოთხშაბათს გაიმართა ამხანაგური მატჩები:***

***რუმინეთი — იუგოსლავია 2-1***
1-0 სერბანი (3), 1-1 მიხაილოვიჩი (87), 2-1 ბარკუანი (90).

***საბერძნეთი — სლოვაკეთი 0-2***
ს.ნემეტი (18), პ.ნემეტი (72).

***ალბანეთი — მალტა 3-0***
ვატა (45), ბოგდანი (70, 90).

***პოლონეთი — ისლანდია 1-0***
ფრანკოვსკი (61, პენ)

***ტუნისი — შვეიცარია 1-1***
0-1 კანტალუპი (20), 1-1 ბუაზიზი (68).

***დანია — გერმანია 2-1***
1-0, 2-0 რომედალი (56, 66), 2-1 შოლი (81).

***ირლანდია — ფინეთი 3-0***
ფინანი (14), კილბანი (28), სტაუნტინი (82).

***თურქეთი — საფრანგეთი 0-4***
ტრეზეგე (15), ვილტორი (22), მიკუ (44), რობერი (74).

***იტალია — ინგლისი 1-0***
გატუზო (58).

***შოტლანდია — ავსტრალია 0-2***
ემერტონი (12), ზრდილიჩი (66).

***ესპანეთი — ჰოლანდია 1-2***
1-0 იერო (66), 1-1 ჰასელბაინკი (73), 1-2 ფრანკ დე ბური (85).

***პორტუგალია — ისრაელი 2-1***
1-0 ფიგუ (48), 2-0 ჟორჟე კოსტა (61), 2-1 ბენაიონი (85).

## საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

● **ცნობილ იტალიელ სპეციალისტ ლუიჯი სიმონეს დაატოვებინეს „ტორინოს“ მწვრთნელის თანამდებობა. კლუბი, რომელიც ადრე იტალიის ჩემპიონი იყო, ახლა საკმაოდ მარცხიანად გამოდის იტალიის „სერია ბ“-ში. რვა ტურში მან მხოლოდ ორი მატჩი მოიგო.**

● მოსკოვის „სპარტაკის“ ნახევარმცველი ანდრეი შტოლცერსი წლის ბოლოს ინგლისში გაემგზავრება, სადაც პრემიერ-ლიგის ერთ-ერთ კლუბში ითამაშებს.

შტოლცერსი „სპარტაკში“ შუა სეზონში გადავიდა დონეცკის „შახტიორიდან“ იჯარის წესით, ერთხანს კარგად თამაშობდა, 4 გოლი გაიტანა, მაგრამ შემდეგ ველარ განავითარა წარმატებები. მასთან დანიელებს აქვთ მოლაპარაკება, მაგრამ შტოლცერსმა ინგლისში თამაში ამჯობინა.

● **ძნელი სათქმელია, როდემდე გაუძლებენ ტურინის „იუვენტუსის“ მესვეურები გუნდის უამრავი გულშემატკივრის ესოდენ ძლიერ შეტევებს. მას შემდეგ, რაც კლუბმა სრული კრახი განიცადა ჩემპიონთა ლიგაში და ქვეყნის ჩემპიონატშიც უხეიროდ გამოდის, გულშემატკივრები იკრიბებიან და გაიძახიან: „მოგვაცილეთ ეს ჩუოზიანო (კლუბის პრეზიდენტი) და ანჩელოტი (მთავარი მწვრთნელი).**

FIFA Coca-Cola WORLD RANKING

## იაპონია აღარ ხუმრობს, ბერძნები კი, პირიქით, დაბლა ეშვებიან

გამოქვეყნდა ფიფა-კოკა-კოლას მორიგი რეიტინგი, რომლის მიხედვით პირველმა ოთხმა ქვეყანამ — ბრაზილიამ, საფრანგეთმა, არგენტინამ და ჩეხეთმა სალიდერო პოზიცია შეინარჩუნა. წინა თვესთან შედარებით გაცვალეს ადგილები იტალიამ და ესპანეთმა: აპენინელებმა მეექვსედან მეხუთეზე გადაინაცვლეს.

ახალ რეიტინგში ყურადღებას იპყრობს იაპონელთა წარმატება, რომელმაც ერთბაშად 15 ადგილით წინ წაიწია და 34-ე პოზიციაზე გამაგრდა, ასევე აღსანიშნავია ალბანეთის პროგრესი (81-ე პოზიცია, +13 ადგილი). არის საპირისპირო მაგალითებიც: საბერძნეთმა მთელი 10 ადგილით დათმო პოზიციები და ამჟამად 42-ეა, 8-8 ადგილით დაიხიეს პოლონეთმა (44-ე ადგილი) და ჩინეთმა (57-ე).

ახლა საქართველოზეც ვთქვათ. წინა პერიოდთან შედარებით ორი ადგილით უკან დავიხიეთ და 64-ე ადგილზე დავმკვიდრდით. მიმდინარე წლის ბოლო სარეიტინგო ცხრილშიც (20 დეკემბრამდე), ალბათ, ამ პოზიციაზე დავრჩებით, ვინაიდან ჩვენი ნაკრები გაისამდე არც ერთ ტურნირში არ მონაწილეობს.

# ჩემპიონთა ლიგის I ეტაპის სტატისტიკა

1) ჩატარებულ 96 შეხვედრაში გატანილია 292 ბურთი (საშუალოდ ერთ მატჩში 3,04 გოლი). მასპინძლებმა გაიტანეს 198 (68 პროცენტი), ხოლო სტუმრებმა – 94 (32 პროცენტი).

2) ჯგუფების მიხედვით გოლები შემდეგნაირად განაწილდა:

„A“ ჯგუფი (რეალი, სპარტაკი, ბაიერი, სპორტინგი) – 12 შეხვედრაში გატანილია 38 ბურთი, საშუალოდ ერთ მატჩში 3,16 ბურთი.

„B“ ჯგუფი (ლაციო, არსენალი, სპარტა, შახტარი) – 40 ბურთი (საშუალოდ 3,33)

„C“ ჯგუფი (ვალენსია, ლიონი, ოლიმპიაკოსი, ჰერენვენი) – 24 ბურთი (საშუალოდ 2,0)

„D“ ჯგუფი (შტურმი, გალათასარაი, რეინჯერსი, მონაკო) – 42 ბურთი (საშუალოდ 3,5)

„E“ ჯგუფი (დეპორტივო, პანათინაიკოსი, იუვენტუსი, ჰამბურგი) – 30 ბურთი (საშუალოდ 2,5)

„F“ ჯგუფი („ბაიერნი, პსჟ, რუსენბორგი, ჰელსინგბორგი) – 42 ბურთი (საშუალოდ 3,5)

„G“ ჯგუფი (მანჩესტერი, ეინდჰოვენი, ანდერლეხტი, დინამო) – 38 ბურთი (საშუალოდ 3,16)

„H“ ჯგუფი (მილანი, ლიდსი, ბარსელონა, ბეშიქთაში) – 38 ბურთი (საშუალოდ 3,16)

3) *ბომბარდირები: რივალდო („ბარსელონა“) და მ. სიმონე („მონაკო“)* – 6-6 ბურთი.

გუნდების ბომბარდირები:

სპარტაკი: ე. ტიტოვი – 3 გოლი
ბაიერი: მ. ბალაკი და თ. ბრდარიჩი – 2-2
რეალი: ხ. გუტი – 4
სპორტინგი – სა პინტუ – 3
ლაციო: კლაუდიო ლოპესი – 4
სპარტა: ი. იაროშიკი და ტ. როსიცკი – 2-2
არსენალი: მ. კიოუნი და ფ. ლიუნგბერგი – 2-2
შახტარი: ა. ვორობეი – 3
ვალენსია: რ. ბარახა, და დიეგო ალონსო – 2-2
ჰერენვენი: რ. ვენემა, ჯ. ტალანი და დ. იენსენი – თითო.
ოლიმპიაკოსი: ჯოვანი – 3.
ლიონი: ს. მარლე – 3
რეინჯერსი: ჯ. ვან ბრონკჰორტსი – 3
შტურმი: ს. იურანი და მ. შოპი – 3-3
გალათასარაი: მ. ჟარდელი – 3
მონაკო: მ. სიმონე – 6
იუვენტუსი: ფ. ინძაგი – 5
ჰამბურგი: მ. მაჰდავიკია და ტ. იებოა – 2-2
დეპორტივო: ვ. პანდიანი – 2
პანათინაიკოსი: პ. ვარჟიხა – 2
ბაიერნი: ჰ. სალიჰამიჯიჩი და კ. იანკერი 2-2
ჰელსინგბორგი: ბ. იოჰანსენი – 2
პსჟ : ნ. ანელკა – 4
რუსენბორგი: ფ. იონსენი – 4
მანჩესტერი: ე. კოული და ტ. შერინგემი – 3-3
ანდერლეხტი: ტ. რაძინსკი – 4
ეინდჰოვენი: ა. რამზი და მ. ვან ბომელი 2-2
დინამო: მ. შაცკიხი, და *გ. დემეტრაძე* – 2-2
მილანი: ა. შევჩენკო – 3
ბეშიქთაში: აჰმედ დურსუნი – 2
ბარსელონა: რივალდო – 6
ლიდსი: ლ. ბოიერი – 4

4) ჯგუფურ ტურნირში აღინიშნა 7 ავტოგოლი, რომლებიც გაიტანეს: რუი ჟორჟემ („სპორტინგი“), პუტუინმა („ჰერენვენი“), იოჰანსენმა („ჰელსინგბორგი“), დიმაშმა („სპორტინგი“), ჯერემიმ („რეალი“) და ჰაქან უნსალმა („გალათასარაი“).

5) დაფიქსირდა *6 „ჰეთ-თრიკი“* – ე. კოული („მანჩესტერი“), ფ. ინძაგი („იუვენტუსი“), მ. სიმონე („მონაკო“), ფ. იონსენი („რუსენბორგი“), რივალდო (ბარსელონა“), კ. ლოპესი („ლაციო“), და ***23 „დუბლი“*** (2 „დუბლი“ შეასრულა ტ. რაძინსკიმ – „ანდერლეხტი“).

6) სულ დაინიშნა 22 პენალტი (რეალიზებულია 18). ყველაზე მეტი პენალტი ***დაარტყა*** „მანჩესტერმა“ 3 (ყველა რეალიზებულია). ყველაზე მეტი კი ***დაურტყეს:*** ლევერკუზენის „ბაიერს“ 3 (2 გაუტანეს).

პენალტები ვერ გაიტანეს: ვ. პარფიონოვმა („სპარტაკი“) ძელს მოახვედრა; ტ. ანრიმ („არსენალი“), ვირტმა („შახტარი“) მოიგერია: გ. მენდიეტამ („ვალენსია“) კუპემ მოიგერია („ლიონი“), ა. შევჩენკომ („მილანი“) ძელს მოახვედრა.

7) სულ მონაწილეობა მიიღო 660 ფეხბურთელმა, აქედან ყველა მატჩი ითამაშა 173-მა, ხოლო ***შეუცვლელად*** – 76-მა ფეხბურთელმა.

ყველაზე ***მეტი*** ფეხბურთელი ათამაშეს: „რეალმა“ და „ლაციომ“ – 25-25, „რეინჯერსმა“ და „მონაკომ“ – 24-24.

ყველაზე ***ნაკლები*** რაოდენობა ფეხბურთელებისა გამოიყვანა მოსკოვის „სპარტაკმა“ – 16, შემდეგ მოდიან: „ჰელსინგბორგი“ – 17; „შახტარი“, „რუსენბორგი“ და „მანჩესტერი“ – 18-18.

8) ჯგუფური ტურნირი ***დაუმარცხებლად*** გაიარა მხოლოდ „დეპორტივომ“. ხოლო არც ერთი მატჩი ***არ მოუგია*** „სპორტინგს“.

***მეკარეები***

ჯგუფურ ტურნირში ***თითო*** მეკარით ითამაშეს: სპარტაკმა (ა. ფილიმონოვი), შახტარმა (ი. ვირტი), ჰერენვენმა (ჰ. ვონკი), ოლიმპიაკოსმა (დ. ელეფთეროპულოსი), ლიონმა (გ. კუპე), მონაკომ (ს. პორატო); ჰამბურგმა (ჰ. ბეტი), დეპორტივომ (ხ. მოლინა), ჰელსინგბორგმა (ს. ანდერსონი), პსჟ (ლ. ლეტიზი), ანდერლეხტმა (ფ. დე ვილდე), ეინდჰოვენმა (რ. ვატერეუსი), დინამომ (ა. შოვკოვსკი).

2-2 მეკარე ათამაშეს: ბაიერმა (პ. ცუბერბიულერი და ა. მატისეკი), რეალმა (ი. კასილიასი და სესარი), სპორტინგმა (ა. შმეიხელი და ნელსონი), ლაციომ (ა. პერუცი და ლ. მარკეჯანი), სპარტამ (ტ. პოსტულკა და ი. ბლაჟეკი), ვალენსიამ (ს. კანისარესი და ა. პალოპი), რეინჯერსმა (შ. კლოსი და კრისტიანსენი), შტურმმა (ჯ. შიკლგრებერი და კ. სოდორჩუკი), გალათასარაიმ (კ. ტაფარელი და ქერიმი), იუვენტუსმა (ე. ვან დერ საარი და რამპულა), პანათინაიკოსმა (ა. ნიკოპოლიდისი და კ. კალკიაჩი), ბაიერნმა (ო. კანი და შ. ვესელი), რუსენბორგმა (ა. არასონი და ი. იამტფალი), მანჩესტერმა (ფ. ბარტეზი და რ. ვან დერ გოუ), მილანმა (დიდა და კ. აბიატი), ბეშიქთაშმა (ი. შორუნმუ და თუნქაი), ბარსელონამ (რ. დუტრუელი და არნაუ), ლიდსმა (ნ. მარტინი და პ. რობინსონი).

3 მეკარით ითამაშა მხოლოდ არსენალმა (დ. სიმენი, ჯ. ლუკიჩი და ს. ტეილორი).


შეტევაზე მარკო სიმონე (ბურთთან)

***მსაჯები***

სულ ჯგუფურ ტურნირს მოემსახურა 22 ქვეყნის 49 მსაჯი.

ყველაზე მეტი მატჩი იმსაჯეს ***იტალიელმა*** მსაჯებმა – 5 მსაჯმა (ტრენტალანჯე, მესინა, ბრასკი, კოლინა და ჩეზარი) იმსაჯა ათ შეხვედრაში, შემდეგ მოდიან: გერმანიის 4 მსაჯმა (კრუგი, შტამპე, მერკი, ფანდელი) იმსაჯა 9 მატჩი; ესპანეთის 4 მსაჯმა (გარსია არანდა, ლოპეს ნიეტო, ობანიესი, მარინი) – 8 მატჩი. ინგლისის (დარკინი, ბარბერი, პოლი, გალაჰერი) და საფრანგეთის (ბრე, ვესიე, საარსი, კოლომბო) 4-4 მსაჯმა – 7-7 მატჩი; ჰოლანდიის (ტემინკი, იოლი, ვეგერეეფი) და დანიის (ფისკერი, ბო ლარსენი, მილტონ ნილსენი) 3-3 მსაჯმა – 6-6 მატჩი, პორტუგალიის სამმა მსაჯმა (მელო პერეირა, კარდოზო, ბატინტა) – 5 მატჩი. შოტლანდიის 2 მსაჯმა (დუგლასი, დალასი) – 5 მატჩი, ნორვეგიის (პედერსენი, ჰაუგი), შვედეთის (ფრისკი, ე. ნილსონი) და ავსტრიის (ბენკო, პლაუცი) 2-2 მსაჯმა – 4-4 მატჩი. ბელგიის 2 მსაჯმა (პირო, რომენი) – 3 მატჩი. შვეიცარიის ერთმა მსაჯმა (მაიერი) – 3 მატჩი. რუსეთის (ივანოვი), საბერძნეთის (ვასარასი), თურქეთის (სარვანი), პოლონეთის (ვოიჩეკი), ლუქსემბურგის (ჰამერი), ბულგარეთის (უზუნოვი) და ჩრდ. ირლანდიის (ირვინი) თითო წარმომადგენელმა – 2-2 მატჩი. სლოვაკმა არბიტრმა (მიხელი) იმსაჯა ერთი მატჩი.

3-3 მატჩი იმსაჯეს ჰ. შტამპემ (გერმანია), მ. მერკმა (გერმანია), კ. მილტონ ნილსენმა (დანია), უ. მაიერმა (შვეიცარია), ჰ. დალასმა (შოტლანდია) და ვ. მელო პერეირამ (პორტუგალია).

● 22 პენალტი დანიშნეს შემდეგმა მსაჯებმა: ესპანელებმა – 5 (მელო პერეირა – 2, იბანიესი, მარინი, გარსია, არანტა); იტალიელებმა – 4 (ბრასკი – 2, მესინა, ტრენტალანჟე); დანიელებმა – 2 (კ. ნილსენი, ფრისკი); პოლონელებმა – 2 (რ. ვოიჩეკი – 2); გერმანელმა (შტრამპე), ჰოლანდიელმა (დ. იოლი), ინგლისელმა (პ. დარკინი), თურქმა (ო. სარვინი), ნორვეგიელმა (ტ. ჰაუგი), ბულგარელმა (ა. უზუნოვი), ლუქსემბურგელმა (ა. ჰამერი), შვედმა (კ. ნილსონი) და შვეიცარიელმა (ჟ. მაიერი) – თითო-თითო.

სულ ჯგუფურ ეტაპზე მსაჯებმა მოთამაშეებს უჩვენეს 16 წითელი ბარათი (ზიდანი ორჯერ იქნა გაძევებული).

***მაყურებელი***

სულ პირველ ჯგუფურ ეტაპს დაესწრო 3 420 193 მაყურებელი (საშუალოდ ერთ მატჩს – 35 627).

ჯგუფების მიხედვით მაყურებელთა დასწრება შემდეგნაირად განაწილდა:

„A“ ჯგუფი – 476000 (საშუალოდ ერთ მატჩს დაესწრო 39666).


რივალდო

„B“ ჯგუფი – 376430 (საშუალოდ – 31369)
„C“ ჯგუფი – 436959 (36413)
„D“ ჯგუფი – 302348 (25195)
„E“ ჯგუფი – 474631 (39552)
„F“ ჯგუფი – 265220 (22101)
„G“ ჯგუფი – 503338 (41944)
„H“ ჯგუფი – 585337 (48778).

ყველაზე მეტი მაყურებელი ჰყავდა „ბარსელონა“ – „ლიდსი“ და „ბარსელონა“ – „მილანის“ შეხვედრებს. 90000-90000. შემდეგ მოდიან: „მილანი“ – „ბარსელონა“ 80000, „სპარტაკი“ – „რეალი“ 77000, „ოლიმპიაკოსი – „ლიონი“ და „სპარტაკი“ – „სპორტინგი“ 70000-70000.

ყველაზე ***ნაკლები*** მაყურებელი ჰყავდა: „სპარტა“ – „შახტარი“-ის მატჩს – 7931 მაყურებელი. შემდეგ მოდიან: მონაკო – შტურმი 8000, ჰერენვენი – ოლიმპიაკოსი 12000, ჰელსინგბორგი – პსჟ 12583, ჰელსინგბორგი – რუსენბორგი 12587.

ყველაზე ***მეტი*** მაყურებელი დაესწრო ***„ბარსელონას“*** მატჩებს – 371729 (საშუალოდ ერთ მატჩში – 61954). შემდეგ მოდიან: „მილანი“ – 329123 (საშუალოდ 54853), „მანჩესტერი“ – 317338 (52889), „რეალი“ – 281500 (46916), „ოლიმპიაკოსი – 278000 (46333), „სპარტაკი“ – 264000 (44000),

ყველაზე ***ნაკლები*** მაყურებელი ჰყავდა „ჰელსინგბორგის“ მატჩებს 99798 (საშუალოდ 16633). შემდეგ მოდიან „რუსენბორგი“ – 113711 (18951), „შტურმი“ – 125517 (20919), „მონაკო“ – 128628 (21438), „ბაიერნი“ 144588 (24098).

ვეფხვია ჯალაღონია,
აფხაზეთი ს. ფშაფი

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

## „ყველაფერს დავუმტკიცებ“

გამოჩენილი ინგლისელი ფეხბურთელი სტივ მაკმანამანი, რომელსაც ცუდი ურთიერთობა აქვს ვისენტე დელ ბოსკესთან, ცდილობს დაუმტკიცოს „რეალის“ მწვრთნელს, რომ იგი იმსახურებს ადგილს მადრიდელთა ძირითად შემადგენლობაში.

● *სტივ, მართალია, რომ სულ მალე დაბრუნდებით ინგლისში?*

— რამდენიმე ინგლისურმა კლუბმა მიმიწვია, მაგრამ გადავწყვიტე ესპანეთში დავრჩე და ვიბრძოლო ადგილისათვის „რეალში“. არ მინდა ხელების ჩამოშვება. ასე დაწერეთ — მაკმანამანი ესპანეთში რჩება.

● *„ლივერპულის“ ერთ-ერთი ლიდერი იყავით. რა გიშლით ხელს, რომ იგივე იყოთ „რეალში“?*

— არა მაქვს საკმარისი სათამაშო პრაქტიკა. მინდორზე იშვიათად გამოვჩნდები ხოლმე. რატომ? ეს სჯობს მწვრთნელს ჰკითხოთ.

## შოთა არველაძეს აღარ სურს „აიაქსში“ თამაში?

**საზღვარგარეთის ზოგიერთ გაზეთში გაჩნდა ცნობები იმის შესახებ, რომ შოთა არველაძეს აღარ სურს თამაში ამსტერდამის „აიაქსში“ და იგი აპირებს მიმართოს კლუბის ხელმძღვანელობას გაუშვან სხვა გუნდში. ამავე ცნობით, იგი თავისი კარიერის გაგრძელებას თურქეთში აპირებს.**

## იკერ კასილიასი – ესპანელების იმედი

19 წლის მეკარე იკერ კასილიასი ახლა ისე კარგად თამაშობს, რომ სპეციალისტების აზრით, ეს პრობლემა ესპანეთის ნაკრებისათვის კარგა ხნით მოხსნილია.

ამას წინათ კორესპონდენტმა „რეალის“ მეორე, გამოცდილ მეკარე სესარს ჰკითხა:

— „რეალმა“ „ვალიადოლიდიდან“ მიგიწვიათ როგორც ძირითადი მეკარე, მაგრამ კასილიასმა შეგავიწროვათ...

— როცა მივიღე „რეალის“ წინადადება, კასილიასს უყურებდნენ როგორც „შორეულ პერსპექტივას“. ის, რომ ასე მოკლე დროის განმავლობაში №1 მეკარე გახდა, კიდევ ერთხელ ამტკიცებს როგორი კარგი მეკარეა იგი. მაინც არ ვნანობ, რომ მადრიდში გადმოვედი. ის, რასაც კაცი „რეალში“ მიაღწევს, რა შესადარებელია „ვალიადოლიდში“ ყოფნის პერსპექტივასთან.

## ხაცკევიჩი – ბელორუსიის საუკეთესო ფეხბურთელი

**მინსკის ყოველკვირეულმა „პრესბოლმა“ ჩაატარა გამოკითხვა, რომლის მიზანი იყო ბელორუსიის საუკეთესო ფეხბურთელის გამოვლენა.**

**გამოკითხვაში მონაწილეობდა 204 კაცი, ძირითადად ჟურნალისტები და მწვრთნელები. გაიმარჯვა კიევის „დინამოსა“ და ბელორუსიის ნაკრების ნახევარმცველმა ალექსანდრ ხაცკევიჩმა (იგი პირველი 1998 წელსაც იყო), რომელმაც გაუსწრო თავის თანაკლუბელ ვალენტინ ბელკევიჩს. შარშანდელი გამარჯვებული სერგეი გურენკო („რომა“) მეექვსე ადგილზეა.**

## ქერემი – კამერუნი ვასახელეთ

მას შემდეგ, რაც „რეალის“ ფეხბურთელი ქერემი ნ,დჟიტალი სიდნეიში ოლიმპიური ჩემპიონი გახდა, მან სპორტულ სამყაროში პოპულარობა მოიპოვა.

● *შეცვალა ამ ფაქტმა თქვენი ცხოვრება?*

— რა თქმა უნდა. კამერუნს პირველი ოლიმპიური „ოქრო“ მოვუტანეთ და სამშობლოში ისე დაგვხვდნენ, როგორც გმირებს. რაც შეეხებათ ჩემს ამხანაგებს მადრიდის „რეალში“, მათ, რა თქმა უნდა, მომილოცეს ეს წარმატება.

● *მათ არ ეწყინათ, რომ ფინალში სწორედ მათ თანამემამულეებს, ესპანელებს სძლიეთ?*

— არა სწყენიათ.

● *უნდა ვიფიქროთ, იცით რომ თქვენმა თანამემამულემ ჩუისემ გადაწყვიტა რუსეთის ნაკრებში ითამაშოს და უკვე მიიღო რუსეთის მოქალაქობა. რას იტყვით ამის შესახებ?*

— არა მარტო მე, არამედ სხვა კამერუნელი ფეხბურთელებიც ჩუისეს გადაწყვეტილებას გაგებით ვკიდებით და ვუსურვებთ წარმატებას რუსეთის ნაკრებში. თუკი იგი თავს გამოიჩენს რუსეთის ნაკრებში, ამით სახელს შემატებს კამერუნულ ფეხბურთს. რაც შეეხება კამერუნის ნაკრებს, იქ სპარტაკელის ადგილზე თამაშობს გუნდის კაპიტანი რიგობერ სონგი, რომლის პოზიციები მეტად მყარია.

## „ალანიას“ ბრაზილიელების იმედი აქვს

**როგორცკი რუსეთში მიმდინარე საფეხბურთო სეზონი დამთავრდა, ვლადიკავკაზის „ალანიის“ მწვრთნელი ალექსანდრ ავერიანოვი ბრაზილიაში გაფრინდა.**

**ავერიანოვის მთავარი მიზანია გუნდის ბრაზილიელებით გაძლიერება.**

**— ტეტრაკამპიონების ქვეყანაში შეტევითი სტილის სამი მოთამაშის მონახვა მინდა. თუ ეს მოვახერხე, ბრაზილიის დიასპორა ჩემს გუნდში ოთხამდე გაიზრდება.**

# ასეთი იყო „ოქროს 1964"

**იმ წლის 18 ნოემბერს, თბილისის „დინამომ" სსრ კავშირის ჩემპიონატის დამატებით მატჩში, ნეიტრალურ, ტაშკენტის სტადიონზე სძლია 4-1 კონკურენტს მოსკოვის „ტორპედოს" და პირველად მოიპოვა ქვეყნის ჩემპიონის საპატიო ტიტული.**

... გარკვეულწილად ფეხს იკიდებს, თუ არ მოიკიდა, ტენდენცია, რომ საბჭოთა ეპოქაში ქართული სპორტის წარმატებები დღეს დევალვირებულია და ხაზი უნდა გადაესვას, ვინაიდან იმ, ავადსახსენებელ დროსაა მოპოვებული...

მაგრამ, მოდით თვალი გადავავლოთ და გავიხსენოთ იმ გარდასულ დღეთა ერთი, 1964 წელი, რომელიც საქართველოს ფეხბურთის ისტორიაში „ოქროს ხანადაა" შესული და ქართული გენის ძალისხმევის უტყუარ ნიმუშს წარმოადგენს.

— ... სასოწარკვეთა? არა, არ ყოფილა. — თქვა თბილისელთა გუნდის მთავარმა მწვრთნელმა გავრილ კაჩალინმა, — კი, მატჩის დამთავრებამდე თხუთმეტი წუთით ადრე ვაგებდით, მაგრამ წამითაც არ დავეჭვებულვარ, რომ გოლს გავუტანდით მეტოქეს. შეგვეძლო გაგვეშვა გოლი? კი, მაგრამ „ტორპედოს" აზრადაც არ მოსვლია, ისე ძალუმად უტევდნენ დინამოელები... ჩვენთვის გოლი დროის საქმე იყო...

ეს გახსენებაც საკმარისი უნდა იყოს ზემოთქმული ტენდენციის უსაფუძვლობისათვის, რადგან ის გამარჯვება, ვის ხელშიაც არ უნდა ყოფილიყო იგი მოპოვებული, ქართული პატრიოტიზმის ამოხეთქვაა და დღესაც ძალას არ ჰკარგავს მომავალი თაობების სამშობლოს სიყვარულით დასამოძღვრად...

„ლელოს" დღევანდელი სტუმარია საფეხბურთო წრეებში კარგად ცნობილი პიროვნება, ფეხბურთის დიდი ქომაგი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი ***დურმიშხან ცინცაძე,*** რომელიც იმ სეზონში გუნდთან ახლოს იყო, დაჰყვებოდა თამაშებზე. იგი 1964 წლის პერიპეტიებზე ლაპარაკობს: — ფეხბურთთან ჩემი ურთიერთობა სულმნათ შოთა იამანიძესთან სიახლოვით დაიწყო. ქართული ფეხბურთის ეს მომავალი ვარსკვლავი მაშინ გავიცანი, როცა ჯერ კიდევ, ცნობილ 35-ე საფეხბურთო სკოლაში სწავლობდა. იქვე, ყოფილ ორჯონიკიძის ქუჩაზე ვცხოვრობდი და სკოლის მოსწავლეთა მეცადინეობას იშვიათად თუ გავაცდენდი. განსაკუთრებით მომწონდა ამ ყმაწვილის მუყაითობა მინდორზე, აზრიანი გარღვევები, რაც მთავარია, მისი ალღო, რომლითაც გამოირჩეოდა თანატოლებში. დროზე ამჩნევდა უკეთეს პოზიციაში მყოფ პარტნიორს, რასაც დაუყოვნებლივ მოჰყვებოდა ბურთის ჩაწოდება. ნაცნობობა მალე მეგობრობაში გადაიზარდა, რაც მისი ამ ქვეყნიდან წასვლამდე არ განელებულა. ამის მიზეზი კი ის იყო, რომ შოთას თავდავიწყებამდე უყვარდა ფეხბურთი და პატივს სცემდა მის გულშემატკივრებს.

საქმე იქამდე მივიდა, რომ — შემატყო იმ კარგად დაწყებულ სეზონში სიამოვნებით გავყვებოდი გუნდს მოგზაურობაში. მისი ხელშეწყობით იმ წელს დინამოელთა არც ერთი გასვლითი მატჩი არ გამომიტოვებია...

## ვის გაახსენდა კაჩალინი



შეიძლება ბევრმა არ იცოდეს, 1964 წელი ასეთი ნაყოფიერი რომ გამოდგა „დინამოსათვის", ეს, პირველ ყოვლისა, „დიდი მიხეილ" (იაკუშინი) დამსახურებაც იყო, რომელმაც გუნდი მოამზადა იმ სეზონისათვის, მაგრამ ნაყოფი სხვამ მოიმკო. რა ვუყოთ, ეს ხშირად ხდება სპორტში, განსაკუთრებით ფეხბურთში. მ. იაკუშინის გუნდიდან დათხოვნის შემდეგ, დადგა საკითხი, მოეძებნათ სხვა მწვრთნელი.

ცოტა შორიდან უნდა დავიწყო: 50-იანის შუა წლებში აღსდგა თბილისის „ლოკომოტივი" ანდრო ჟორდანიას ხელმძღვანელობით. მან გუნდში „დინამოდან" დათხოვნილი ავთანდილ ჭკუასელი მიიწვია, მეორე მწვრთნელად კი 1952 წელს ყაზახეთში რეპატრირებული ზურაბ ქვარიანი. ეს ის ქვარიანი იყო, რომელიც ომის შემდგომ წლებში თბილისის „შრომით რეზერვების" გუნდში თამაშობდა და გავრილ კაჩალინმა იქიდან მიშა ჯოჯუა და ქართველი ფეხბურთელები გ. გარიშვილი, ა. პაიჭაძე, ა. ბურჭულაძე, ვ. დავთიანი მიიწვია მოსკოვის იმავე დასახელების გუნდში, რომელიც „ბ" კლასის საკავშირო პირველობაზე გამოდიოდა. გ. კაჩალინი უაღრესად განათლებული და დახვეწილი ინტელიგენტი გახლდათ და პატივს სცემდა ქართველებს, წინადადებაზე მცირე ყოყმანის შემდეგ უარი ვერ თქვა.

— გუნდი, ქალაქი შესანიშნავად შემხვდა, — იგონებდა იგი, — მხოლოდ იმის მეშინოდა, „ახალი ცოცხის" სინდრომი არ გაჩენილიყო, მაგრამ ამის მსგავსი არაფერი შემიმჩნევია — სრული ურთიერთნდობა სუფევდა. ყველას სურდა ჩემში ჯადოქარი დაენახა. მაგრამ ჯადოქარი კი არა, უბრალოდ, მწვრთნელი ვიყავი. ერთადერთი სიძნელე ის გახლდათ, რომ ახალი გუნდი ფსიქოლოგიურად უნდა განმეწყო მოსკოველ გუნდებთან საბრძოლველად...

თვით სეზონი ო'ჰენრის ნოველებივით აღსავსე გამოდგა მოულოდნელობით, რაც დიდ ფსიქოლოგიურ ტვირთად დააწვა დინამოელებს. ისინი თავიდანვე დაწინაურდნენ ჩემპიონატში და მალე ფინიშის კონტურებიც უნდა გამოკვეთილიყო ნათლად, როცა თბილისელებს გამარჯვების შანსი გაუჩნდათ და სწორედ ეს „მონაკვეთი" აღმოჩნდა ნერვების ამწეწი. საქმე ის იყო, რომ მათ კვალდაკვალ აედევნა სატურნირო ცხრილში მოსკოვის „ტორპედო" და ამ „ტანდემის" მატჩებიც ისე წარიმართა, რომ ძნელი სათქმელი იყო, ვის დარჩებოდა პირველობა. ბიჭებს ამ ფსიქოლოგიური ზეწოლის ჟამს მხარში ამოუდგნენ იმ დროისათვის „არალეგალური მეცენატები". ეს საკმაოდ გახმაურებული სახელებია — ირაკლი ნემსაძე და მიშიკო ლაზიშვილი, რომლებიც ქველმოქმედებით ახალისებდნენ დინამოელებს.

ყოველი გამარჯვების შემდეგ, ბიჭებს ავტობუსშივე, რომლითაც ბაზაზე ბრუნდებოდნენ, ურიგდებოდათ გვარსახელიანი კონვერტები, რომლებშიც თითოეულისათვის 1000 მანეთი იდო. როგორც კი იამანიძე მიიღებდა კონვერტს, იგი ჩემს ჯიბეში გადმოინაცვლებდა: — ეს შენ, მეტყოდა ადრესატი, — სამგზავროდ!

გარდა ამისა, ირაკლი ნემსაძის სტიპენდიები ჰქონდათ სლავა მეტრეველს, მიხეილ მესხს, შოთა იამანიძეს, სერგო კოტრიკაძეს, სიომა ბარქაიას.

მოსკოვმა, როგორც კი იგრძნო, რომ თბილისის „დინამოს" სერიოზული მიზანი აქვს, მომართა ის უხილავი მანქანა, რასაც მსაჯების ზეწოლა ჰქვია, რაც ხშირად ყოველგვარ ზღვარს სცილდებოდა. პირველი ზეწოლა „დინამომ" ალმა-ათაში იგრძნო. მსაჯ ხოდინს მსტოვრები მიუგზავნა, მან ახლოს არ გაიკარა ისინი. ეს უკვე ცუდი ნიშანი იყო. გუმანს არ უმტყუნია, სწორედ მისმა ყოვლად უსინდისო მსაჯობამ ადგილობრივ „კაირატთან" (წავაგებინა 0-1) ათქმევინა ნესტორ ჩხატარაშვილს, ღვაწლმოსილ არბიტრს, რომ მსაჯობა ისეთი დაბალი დონის იყო, რომ შეფასებასაც არ იმსახურებსო.

რომ იცოდეთ, როგორ „ჩეხავდნენ" ჩვენს გარემარბებს, ახლაც თვალწინ მიდგას დათოვლილი მინდვრის ის ჩაშავებული მონაკვეთი (თამაშის დროს გადაუღებლივ თოვდა) მეტრეველის გაგლეჯილი ფეხიდან გამონადენი სისხლით რომ იყო შეღებილი...

თამაშის შემდეგ სლავა კაჩალინთან ერთად შეუვარდა გასახდელში ხოდინს, ლანძღვა-გინება არ დააკლეს, რასაც დამნაშავე უდრტვინველად შეხვდა... იმ წაგებამ ბიჭებზე ძლიერ იმოქმედა, შინ სასოწარკვეთილები დაბრუნდნენ, ვინაიდან მოსკოვის „ტორპედო" გაგვისწორდა და ჩვენი ჩემპიონობა სათუო გახდა. ამას მორიგი „სიურპრიზი" მოჰყვა ქუთაისში, სადაც ფრედ — 1-1 ვითამაშეთ ადგილობრივ „ტორპედოსთან" (მასპინძლებს ჰაერივით სჭირდებოდათ ის ქულა, წინააღმდეგ შემთხვევაში, უმაღლეს ლიგას გამოეთხოვებოდნენ). ამით ყოველგვარი შანსი ამოგვეწურა, ვინაიდან კონკურენტი გუნდი შინ ეთამაშებოდა კიევის „დინამოს". სასწაული სწორედ იმ მატჩში მოხდა, როცა სტუმრების მეკარე ბანიკომა პენალტი მოიგერია და თამაში ფრედ დასრულდა.

ასე დრამატულად ჩათავდა ის ჩემპიონატი, რომლის ფინიში ერთდროულად გადაკვეთა (თანაბარი ქულებით) ორმა გუნდმა — თბილისის „დინამომ" და მოსკოვის „ტორპედომ". 1964 წლის ჩემპიონის გამოსავლენად საჭირო შეიქნა მათ შორის დამატებითი მატჩის ჩატარება. ასეც მოხდა. იგი უნდა შემდგარიყო ნეიტრალურ სარბიელზე — ტაშკენტის „ფახთაქორის" სტადიონზე.

ამ შეხვედრას აუწერელი აჟიოტაჟი უსწრებდა წინ.

საქართველოს ორგანიზაციებში ჰაიჰარად დაიწერა თანამშრომელთა სამივლინებო ბრძანებები, ერთი მიმართულებით — უზბეკეთის დედაქალაქისკენ, სტუდენტებმა რა ხრიკებს არ მიმართეს 18 ნოემბერს ტაშკენტში მოსახვედრად. ჩემს დეკანს ბატონ შოთა მესხიას გამოვუტყდი — ჟორა ბედინეიშვილი, გაზეთ „მოლოდიოჟ გრუზიის" რედაქტორი, მივლინებით მიშვებს მატჩზე... ორი დღით უნდა, რამენაირად, ხელი დამაფაროთ!

— ოღონდ ჩვენებმა მოიგონ, ორ დღეს კი არა, მთელ კვირას დაგაფარებ ხელს, — მომიგო ცხონებულმა. პოეტებმა ნოდარ გურეშიძემ და თეიმურაზ ჯანგულაშვილმა უზბეკ კოლეგებთან „მეგობრული ვიზიტი" დაამთხვიეს.

„დინამო" ერთი კვირით ადრე ჩაფრინდა უზბეკეთის დედაქალაქში, მას რა დარგისა და პროფესიის წარმომადგენელთა ამალა ჩაჰყვა საქართველოდან... ვერ აგიწერთ. ერთი კი ცხადი იყო, ქართველებმა სასტუმრო „თოშკენთის" (ტაშკენტი) მთლიანი ოკუპირება მოახდინეს.

ბაზაზე, სადაც „დინამო" დაბანაკდა, ვინახულე გუნდი, საოცარი აღმაფრენა სუფევდა. დილა საქართველოდან მისული იმედითა და გამარჯვების სურვილით აღსავსე, გამამხნევებელი დეპეშების კითხვით იწყებოდა.

ჩემთან ერთად სასტუმროს ნომერში იყო ფოტოკორესპონდენტი როман კაჭარავა. გვერდზე, ნომერში „კომუნისტის" კორესპონდენტები ოთარ ლორთქიფანიძე, ბაკურ ბახტურიძე, „ლელოდან" — ბიჭიკო ქორქია და ფოტორეპორტიორი მიხეილ ზარგანიანი — „პროფესორა".

ამაღელვებელი გაცილება მომიწყო თბილისის აეროპორტში უნივერსიტეტის პროფესორმა აკაკი მათიაშვილმა. ტრაპთან მომიტანა 8-კილოგრამიანი მიწით სავსე ტომარა. მარტყოფის მიწააო — მითხრა. მინდორზე დაყარე, არ გამაწბილო, ბიჭებს ქართველთა იმ ბრძოლას გაახსენებს, საიდანაც ავიღე ეს მიწა. და თავადვე ამიტანა თვითმფრინავში, რომ არ „დამვიწყებოდა" — დანაბარები შევუსრულე და მერე სულ ამბობდა „ჩემმა მიწამ გაჭრა, ბიჭებს მედლები იმან მოუტანა".

თამაშის წინ დინამოელებთან მივიდა მოსკოველების მეკარე ანზორ კავაზაშვილი, რომელმაც თანამემამულეებთან და ყოფილ თანაგუნდელთა წინააღმდეგ თამაშზე უარი თქვა და მის ნაცვლად კარში შაპოვალენკო უნდა დამდგარიყო.

ანზორმა იამანიძე გაიხმო და უთხრა: „კოზმიჩს (ასე ეძახდნენ ტორპედოელთა კაპიტან ვალენტინ ივანოვს) იცოდეთ, ფეხი მთლად წესრიგში არა აქვს. ზეინკალა (ზეინკლიშვილი) ან სიჭი (გიორგი სიჭინავა) ოდნავ თუ წაჰკრავენ, მიატოვებს მინდორს"...

არც ერთს და არც მეორეს ეს არ უქნია. მაგრამ ივანოვი მართლაც, მეორე ტაიმში არ გამოსულა სათამაშოდ. მან პირველ ტაიმში ბურთი გაგვიტანა და ამით საქმე მოთავებულად ჩათვალა. მაგრამ მწარედ მოტყუვდა. თამაშის ბოლო თხუთმეტ წუთში დათუნაშვილმა იმ „ისტორიული კუთხურით" ბურთი მეტოქის კარის ბადეში ჩაახვია — 1-1. ასე დამთავრდა თამაშისთვის განკუთვნილი 90 წუთი. დამატებით 30 წუთში კი დინამოელებმა, რომ იტყვიან, აიწყვიტეს და სამი უპასუხო გოლი გაუტანეს მეტოქეს, რამაც ოქროს მედლები მოგვიტანა. ჩემპიონატის მთავარ მატჩს ახალგაზრდა, ნაკლებად ცნობილი რიგელი არბიტრი რუბენისი მსაჯობდა, რასაც სავსებით გაართვა თავი. მისი სამართლიანი მსაჯობა, რამაც თამაშის ბედი განაპირობა, არაფრად ეპიტნავა მოსკოვს და საკავშირო ფეხბურთის ფედერაციამ გამოიყვანა იგი მსაჯთა კორპუსიდან, რამდენიმე წლით ჩამოაშორა სამსაჯო საქმიანობას და მერე მხოლოდ პირველი ლიგის მატჩები ანდეს სამსაჯოდ.

ჩვენს გამარჯვებას დათუნაშვილის კუთხურმა შთაბერა სული, ბიჭებმა ირწმუნეს, რომ არაფერია დაკარგული... დიახ, ქართული ფეხბურთის ამ დიდი გამარჯვების მებაირაღტრედ ილია მოგვევლინა. ეს არ იყო მისი ტალანტის ეპიზოდური გაბრწყინება. მან ეს მერეც დაამტკიცა ერევნის „არარატთან" ერთ ტაიმში 5 გოლი რომ გაიტანა. და ასეთი ამაგდარი კაცის მიმართ უმადურობა გამოიჩინა ქართველობამ, აინუნშიაც არ ჩააგდო მისი დამსახურება და უნდობლობა გამოუცხადა მას საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტად არჩევაში.

დასასრულ, ეს დიდი გამარჯვება დაკავშირებულია: მიხეილ მესხის, სლავა მეტრეველის, შოთა იამანიძის, გურამ ცხოვრებოვის, ვახტანგ რეხვიაშვილის, ალექსანდრ აფშევის, მწვრთნელების გავრილ კაჩალინის, ბასა ღოლობერიძის, ალიოშა კოტრიკაძის სახელებთან. ღმერთი გაანათლებს მათ სულებს! დღესაც ცოცხლობენ და ილვწიან ქართული ფეხბურთის საკეთილდღეოდ სერგო კოტრიკაძე, ბორის სიჭინავა, ჯემალ ზეინკლიშვილი, ილია დათუნაშვილი, სიომა ბარქაია და ამჟამად გაგრაში მცხოვრები გიორგი სიჭინავა...

ჩაიწერა
**უშანგ ჭიჭინაძემ**

---

**კიოკუშუან კარატე**

# „ჯთ. მობილურთან" ერთად

საზეიმო ვითარებაში უმასპინძლა „ფალავანთა კლუბმა" კიოკუშუან კარატეში საქართველოს პირველობას ბავშვთა და მოზარდთა შორის. პროგრამაში შედიოდა ე.წ. კატა (ფორმის ვარჯიში) და კუმიტე (ბრძოლები). ასპარეზობამ 8 ასაკობრივი ჯგუფის (1983-1990 წ.წ.) კარატისტებს უხმო არენაზე კუმიტეში, კატაში კი აბსოლუტური პირველობა გათამაშდა ვაჟებსა და გოგონებში.

აღსანიშნავია აჭარის კლუბების წარმომადგენელთა წარმატება, განსაკუთრებით ბავშვთა ჯგუფებში, მოზარდებში კი ტექნიკური ორთაბრძოლებით თავი გამოიჩინეს თბილისელებმა. გაგაცნობთ გამარჯვებულებს და პრიზიორებს.

***I ჯგუფი:*** 1. არტურ არუთინიანი, 2. ნოდარ კახიძე, 3. ბესიკ გელენიძე; ***II ჯგუფი:*** 1. თორნიკე ბერიძე, 2. გიორგი ხელაძე, 3. გიორგი კახიძე; ***III ჯგუფი:*** 1. კოტე კაპანაძე, 2. ირაკლი გორაძე, 3. ავთანდილ ხმალაძე; ***IV ჯგუფი:*** 1. მიხეილ წიკლაური, 2. რატი წითელაძე, 3. მანუჩარ ბერიძე; ***V ჯგუფი:*** 1. ლევან ცინცაძე, 2. ანრი ნუმანიშვილი, 3. გიორგი აბაშიძე; ***VI ჯგუფი:*** 1. ედუარდ ჯონსაშვილი, 2. გიორგი მიდელაური, 3. გურამ ფიცხელაური; ***VII ჯგუფი:*** 1. ბექა მჭედლიშვილი, 2. გიორგი ერაგია, 3. დავით საგინაშვილი; ***VIII ჯგუფი:*** 1. გიორგი გულისაშვილი, 2. აშოტ ოჰანესიანი, 3. გიორგი ნარიმანიშვილი.

გამარჯვებულები და პრიზიორები ფედერაციისა და კომპანია „ჯთ მობილურის" ხელმძღვანელებმა დააჯილდოვეს მედლებით, დიპლომებითა და ფასიანი საჩუქრებით. ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ირაკლი დოლაბერიძემ განაცხადა, რომ ნოემბერში სპორტის ამ სახეობაში ჩატარდება კიდევ ორი შეჯიბრება, კერძოდ, საქართველოს აბსოლუტური ჩემპიონატი (19.XI) და საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის პირველობა (29.XI). ორივე ასპარეზობას კვლავ ფალავანთა კლუბი უმასპინძლებს.

**კახა ყაველაშვილი,**
ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის II კურსის სტუდენტი.

---

## ფოტოვიქტორინა ამოუცნობი რჩება?

„ლელოს" 86-ე ნომერში გამოქვეყნდა ქუთაისის „იმერეთის" ფეხბურთელთა გუნდის 1959 წლის შემადგენლობა. რედაქციაში მიღებული არც ერთი პასუხი სწორი არ გამოდგა, ასე რომ, ფოტოვიქტორინა ამოუცნობი დარჩა. ვთხოვთ ქუთაისელ ფეხბურთის გულშემატკივრებს განმეორებით მიუბრუნდნენ ამ ვიქტორინას. მათ ხომ ყველაზე უკეთ იციან თანაქალაქელთა ვინაობა.

## ავიაკატასტროფა

ანგოლაში კატასტროფა განიცადა ან-24 ტიპის თვითმფრინავმა, ყველა მგზავრი დაიღუპა. იუწყებიან, რომ თვითმფრინავში, რომელსაც უკრაინული ეკიპაჟი მართავდა, იმყოფებოდა ჭაბუკ ფეხბურთელთა გუნდი.

### პროფესიული კრივის სამყაროში

## თვით კინგს ეტყვის უარს

მძიმე წონის (+90 კგ) ბრიტანელი ოლიმპიური ჩემპიონი ოდლი ჰარისონი, ალბათ, უარს ეტყვის ცნობილ ამერიკელ პრომოუტერ დონ კინგს კონტრაქტის დადებაზე და ინგლისში დაიწყებს პროფესიულ კარიერას.

პროფესიულ კრივში ყველა როდი ეტყვის უარს ასეთ გავლენიან სპეციალისტს, როგორიც კინგია, მაგრამ ამ შემთხვევაში ფულს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს სიდნეის ერთ-ერთი კოლორიტული მებრძოლისათვის. ჰარისონმა განაცხადა, რომ მთავარია განეწყოს მიზნის მისაღწევად, გახდეს მსოფლიო ჩემპიონი პროფესიონალებში, თავბრუდამხვევი თანხა მხოლოდ მოაცდენს ამისგან. თუმცა, რა თქმა უნდა, არ არის ადვილი „განუდგე" დიდ ფულს, დიდხანს რომ სამოყვარულო დონეზე გამოდიოდი.

სიდნეიში გამარჯვების შემდეგ ჰარისონს „სპორტის ემისრობას" უწინასწარმეტყველებდნენ. განათლებულ, სპორტულ მეცნიერებათა დიპლომით, მხიარულმა და მახვილგონივრულმა სუპერმძიმეწონოსანმა ყველას გული მოინადირა. მაგრამ, როგორც გაირკვა, ჰარისონს კრიმინალური წარსული ჰქონია. ამის შესახებ ოდლიმ თავად გაანდო ჟურნალისტებს, ამასთან, მოკრივემ აღსარება იმით ახსნა, რომ სჯობს შენს ცოდვებზე თავად თქვა, ვიდრე ამას სხვებისგან გაიგებენ.

როგორც აღსარებიდან ჩანს, ჯეელობაში სახლები გაუქურდავს, იპარავდა მაღაზიებში და ყველას რისხვას სცემდა სკოლაში. ამისათვის ოდლი სკოლიდან გააგდეს და ქუჩის ბანდაში აღმოჩნდა. 17 წლის ოდლის მიუსაჯეს 32-თვიანი გამოსასწორებელი სამუშაო. ამის შემდეგ მოეგო იგი გონს, უნივერსიტეტში ჩაირიცხა და სპორტისა და აქტიური დასვენების დარგში მენეჯმენტის დიპლომი მიიღო.

არ გამორიცხავენ, რომ 28 წლის სპორტსმენი შანტაჟშიაც გაეხვია. ყოველ შემთხვევაში, მთელ რიგ გამოცემებს უკვე შესთავაზეს სტატიები ჩემპიონის აღვირახსნილ ახალგაზრდობაზე.

# ყველაზე ნორჩი ჩემპიონი დაშავდა

კონექტიკუტში გამართულ წარმოდგენაში თეძოს მძიმე ტრავმა მიიღო ნაგანოში ჩატარებული თეთრი ოლიმპიადის გამარჯვებულმა ფიგურულ ციგურაობაში, ამერიკელმა გოგონამ ტარა ლიპინსკიმ. იგი უმალვე ჩაფრინდა ფლორიდაში, სადაც მარკ ფილიპსონმა, რომელიც ადრე მკურნალობდა გოლფის მსოფლიო ვარსკვლავ გრეგ ნორმანს, გაუკეთა ოპერაცია. პაციენტის ვარაუდით, სამი კვირის შემდეგ იგი დაბრუნდება სარბიელზე. მან პირველი და ერთადერთი ოლიმპიადის ოქროს მედალი 15 წლისამ მოიპოვა და ყველაზე ახალგაზრდა ჩემპიონი გახდა თეთრი ოლიმპიადების ისტორიაში.


ტარა ლიპინსკი

## ლიპინსკის ბრწყინვალე სრიალის შემდეგ ქვონი „ვერცხლის ჩრდილში" მოექცა

15 წლის გოგონა, ტარა ლიპინსკი რეკორდების მსოფლიო წიგნში შევიდა, დაამარცხა რა თავისი თანამემამულე და ტურნირამდე ოქროს მედლის უდავო ფავორიტად მიჩნეული მიშელ ქვონი.

ლიპინსკი ყველაზე ახალგაზრდა ოქროს მედალოსანია ზამთრის ოლიმპიური თამაშების ისტორიაში. მანამდე ასეთივე რეკორდი ეკუთვნოდა ნორვეგიელ მოციგურავეს სონია ჰ ეინეს. 1928 წელს, როცა ჰეინემ ოქროს მედალი მოიპოვა ამავე სახეობაში, მხოლოდ 2 თვით იყო უფროსი ახლანდელ რეკორდსმენზე.

„მტკიცედ მჯეროდა საკუთარი ძალების, ყოველთვის დიდ ენერგიას მმატებდა მდევარის როლი, ბრძოლა, როცა მწვერვალი ჯერ კიდევ შორსაა — ამბობს ლიპინსკი.

ლიპინსკის ლურჯი, ბრჭყიალებით მორთული კოსტიუმი ემოსა. ფონს უქმნიდა კარლ დევისის მუსიკა „ცისარტყელა" და ლი ჰოლდრიჯის „ზაფხულის სურათები".

მის მიერ შესრულებული თავისუფალი სტილის პროგრამის შემდეგ, მსაჯთა აზრი გაიყო. ექვსმა მათგანმა იგი ქვონს ამჯობინა, 3 მსაჯის წინააღმდეგ. ლიპინსკის ვირტუოზული ტექნიკა მის მრავალფეროვან და რთულ ნახტომებს ალამაზებდა. მას ისეთი კომბინაციები ჰქონდა, რომელიც მანამდე არავის შეუსრულებია.

გამარჯვებულმა ექვსი „5,9" ქულა მიიღო ტექნიკისათვის და ოთხი „5,9"-ით შეუფასეს არტისტიზმი.

17 წლის მიშელ ქვონი, მსოფლიოსა და ამერიკის ჩემპიონი, ბოლო ქვეჯგუფში გამოდიოდა, მის აკომპანიმენტს წარმოადგენდა ლაირა ანჯელიკას კონცერტი არფისათვის. შესაძლოა, მან მაშინ დაკარგა ოქროს მედალი, როცა ფეხაკანკალებული დაეშვა ყინულზე სამმაგი ფლიპის შემდეგ. ტარა ლიპინსკი კი მართლაც უზადოდ ასპარეზობდა და ავიდა კიდეც ნაგანოში გამართული ზამთრის ოლიმპიადის საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე.

მოამზადა
**ნინო აფაქიძემ**

## მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები




**17 ნოემბერი, პარასკევი**

***საქართველოს ტელევიზია. კავკასია.*** „მსოფლიო სპორტი" (18.00, 21.00), ***НТВ плюс футбол.*** საერთაშორისო ჟურნალი (13.20), ბრაზილიის (13.50, 16.40, 1.20), იტალიის (15.50), შოტლანდიის (18.25, 21.15), გერმანიის (23.10) ჩემპიონატები და მიმოხილვა. ***НТВ плюс спорт.*** კალათბურთი. სუპერლიგა, ვაჟები. ცსკა – „ულკერ" (11.40). ***ESPN.*** ფეხბურთი: ინგლისის პრემიერლიგა (11.45), იტალიის ჩემპიონატი „უდინეზე" – „პარმა" (21.00), ***EUPOSPORT.*** ფეხბურთი – 2002. მსოფლიო თასისკენ (11.30), სამთოთხილამურები. მსოფლიო თასი (15.00, 20.30, 21.00, 23.30), ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა (22.00), კრივი. საერთაშორისო შეჯიბრება (1.00)

**18 ნოემბერი, შაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. რუსთავი-2.*** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა (19.00), ***კავკასია.*** „მსოფლიო სპორტი" (18.00, 21.00), ***მე-9 არხი.*** ევროპის სტადიონებზე (20.00), ***НТВ плюс футбол.*** გერმანიის (13.15, 18.25), შოტლანდიის (15.50), ბრაზილიის (20.40) ჩემპიონატები და მიმოხილვა. ***НТВ плюс спорт.*** კალათბურთი. ნბა-ს ჩემპიონატი (11.40), ***ESPN.*** ფეხბურთი: ინგლისის პრემიერლიგა „მანჩესტერ იუნაიტედი" – „მანჩესტერ სიტი" (16.00, მიმოხილვა – 19.30), იტალიის ჩემპიონატი (0.00). ***EUROSPORT.*** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა (12.30, 15.00), სამთოთხილამურები. მსოფლიო თასი (1.30).

**19 ნოემბერი, კვირა**

***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადაზე (22.40), ***რუსთავი-2.*** სპორტული პროგრამა (19.15), ***კავკასია.*** „მსოფლიო სპორტი" (18.00, 21.00), ***მე-9 არხი.*** მსოფლიო სტადიონებზე (12.20). ***НТВ плюс футбол.*** გერმანიის (13.15), იტალიის (15.45, 23.25), ესპანეთის (17.30, 1.35), ინგლისის (19.55), ჩემპიონთა ლიგის (21.55), საფრანგეთის (22.45) ჩემპიონატები და მიმოხილვა. ***НТВ плюс спорт.*** ჰოკეი. ნხლ-ის ჩემპიონატი (11.40, 23.00), საჭადრაკო მიმოხილვა (23.30), კალათბურთი. ევროლიგის მიმოხილვა (0.30). ***ESPN.*** ფეხბურთი: იტალიის ჩემპიონატი (16.00), ჩემპიონთა ლიგა (18.00), ინგლისის პრემიერლიგა „ლივერპული" – „ტოტენჰემი" (20.30), ***EUROSPORT.*** სამთოთხილამურები. მსოფლიო თასი (11.30, 14.00, 21.00, 0.30), ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა (15.00), კრივი. საერთაშორისო შეჯიბრება (2.15).

**საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი თანაგრძნობას უცხადებს თავისუფალ ჭიდაობაში საქართველოს ეროვნული ნაკრები გუნდის უფროს მწვრთნელს ზაზა თურმანიძეს მამის გარდაცვალების გამო.**

**ქ. თბილისის მერიის სპორტისა და ტურიზმის სამსახური თანაუგრძნობს თავისუფალ ჭიდაობაში ეროვნული ნაკრები გუნდის უფროს მწვრთნელს ზაზა თურმანიძეს მამის გარდაცვალების გამო.**

**საქართველოს ჭიდაობის ფედერაცია ღრმა სამძიმარს უცხადებს თავისუფალ ჭიდაობაში ეროვნული ნაკრები გუნდის უფროს მწვრთნელს ზაზა თურმანიძეს მამის გარდაცვალების გამო.**
დაკრძალვა კვირას, 19 ნოემბერს, საჩხერეში (სოფ. არგვეთი).

**საქართველოს მოჭიდავეთა რეგისტრირებული საზოგადოება „რაინდი" თანაგრძნობას უცხადებს ვეტერან ფალავანს, საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს, ეროვნული ნაკრები გუნდის უფროს მწვრთნელს თავისუფალ ჭიდაობაში ზაზა თურმანიძეს მამის გარდაცვალების გამო.**

**საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი თანაგრძნობას უცხადებს საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის პასუხისმგებელ მდივანს ომზარ შოშიტაშვილს დედის გარდაცვალების გამო.**

**გაზეთ „ლელოს" რედაქცია თანაუგრძნობს ომზარ შოშიტაშვილს დედის და ზაზა თურმანიძეს მამის გარდაცვალების გამო.**

**საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის აჭარის ორგანიზაცია სამძიმარს უცხადებს საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის გენერალურ მდივანს ომზარ შოშიტაშვილს დედის გარდაცვალების გამო.**

**ვლადიმერ ელოშვილი, ჯემალ გაბისონია, შოთა მერკვილაძე, მირიან ჭიჭინაძე თანაგრძნობას უცხადებენ ოთარ გაგუას, შვილის, ყოფილი ფეხბურთელის**

**გია გაგუას**

**გარდაცვალების გამო.**

**საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი თანაუგრძნობს თავისუფალ ჭიდაობაში საქართველოს ეროვნული ნაკრები გუნდის უფროს მწვრთნელს ზაზა თურმანიძეს მამის გარდაცვალების გამო.**

**საქართველოს ჭიდაობის ფედერაცია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ქართველ ფალავანთა დიდი მეგობრის**

**მიხეილ (მიშიკო) ლაზიშვილის**

**გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

**საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის აჭარის ორგანიზაცია თანაგრძნობას უცხადებს საქართველოს ეროვნული ნაკრები გუნდის უფროს მწვრთნელს ზაზა თურმანიძეს მამის გარდაცვალების გამო.**

## კროსვორდი №90



**თარაზულად:** 3. ფორმულა-1-ის ფრანგი პილოტი, 6. 2002 წლის საფეხბურთო მსოფლიო ჩემპიონატის ერთ-ერთი მასპინძელი ქვეყანა, 7. საბერძნეთის საფეხბურთო კლუბი, 8. სატანვარჯიშო იარაღი, 10. პოლონეთის საფეხბურთო კლუბი, 11. სპორტის სახეობა, 15. ბალტიისპირელი მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ჭადრაკში, 16. მოძრაობა ძალოსნობაში, 19. ბრაზილიელი ფეხბურთელი, 20. კრივის სასპარეზო, 23. სპორტული ნაგებობა, 24. 70-იანი წლების ბრაზილიელი ფეხბურთელი, ფორვარდი, 26. ნიგერიელი ფეხბურთელი, ფორვარდი.

**შვეულად:** 1. სკანდინავიის ერთ-ერთი ულამაზესი სტადიონი, 2. ცნობილი ქართველი მორბენალი ქალი, 4. უეფას ერთ-ერთი ჩინოსანი, 5. შვეიცარიელი ფეხბურთელი, თავდამსხმელი, 9. საფრანგეთის საფეხბურთო კლუბი, 11. სპორტული ორთაბრძოლა ანუ..., 12. არგენტინელი ფეხბურთელი, ფორვარდი, 13. საფრანგეთის საფეხბურთო კლუბი, 14. სამხრეთკორეელი ფეხბურთელი, მცველი, 17. ბათუმის საკალათბურთო გუნდი, 18. ჭიდაობის მსოფლიო საერთაშორისო ორგანიზაცია, 21. მოლდოვის საფეხბურთო ნაკრების წევრი, 22. „აიაქსის" საფეხბურთო მწვრთნელი... ადრიანსე, 25. ფრანგი ფეხბურთელი.

### №89 კროსვორდის პასუხები:

**თარაზულად:** 4. ფრისტაილი, 8. კარელინი, 9. ტლანქი, 10. სალუქვაძე, 13. ალამი, 14. მალაგა, 16. ჯეელი, 17. დერბი, 19. პლანერი, 21. ტოსტაო, 22. ქარტია, 25. პარტიზანი, 27. ბაიანო, 29. მარაო, 30. ბიგანიშვილი. **შვეულად:** 1. ბალავაძე, 2. პერუჯა, 3. ანძა, 5. ტანვარჯიში, 6. ილი, 7. ისა, 11. ვეა, 12. ხმალი, 15. ლანგარა, 18. ბასტია, 20. კარტოზია, 21. ტურამი, 23. არზიანი, 24. გონტარი, 26. რენი, 28. ნავი.

## საჭადრაკო ამოცანა

**ო. მამულაშვილი**



**შამათი 2 სვლაში**

**წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა:**

1. მფh5! 1. ...მb – 2. ლ:c6X.
1. ...მd5 2. ლh7X
1. ...მd – 2. ლd3X.
1. ...მ:f3 2. კc2X.

მთავარი რედაქტორი თენგიზ ბაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ლელოს" სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ ხიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე ხიდამონიძე.